საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში

№17

მონიტორინგის პერიოდი:
ნოემბერი 2022 - ივლისი 2023

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №17 ანგარიში

(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო სასამართლოები)

მონიტორინგის პერიოდი: ნოემბერი 2022 - ივლისი 2023

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

თბილისი
2024

ანგარიშის ხელმძღვანელი: თამარ ონიანი

ავტორები: თამარ ბოჭორიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე

მონიტორები: თეონა გაბადაძე
გოდერძი გორგილაძე
ელენი ვარდია
ჯუმბერ ქათამაძე
გურანდა ქართველიშვილი
მარიამ ჩხიკვაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

საია მადლობას უხდის ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამის თანაშემწეებს, მედეა ანსიანს, ნიკა ჩხეიძესა და ნინი ხურციძეს, ანგარიშის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 5

შესავალი 7

მეთოდოლოგია 8

ძირითადი მიგნებები 10

1. პირველი წარდგენის სხდომები 10
2. სათანადო სასამართლო კონტროლი და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები 12
3. წინასასამართლო სხდომები 13
4. საპროცესო შეთანხმებები 14
5. არსებითი სხდომა 14
6. ოჯახური დანაშაულები 14
7. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 15

I. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები 16

1. პირველი წარდგენის სხდომების ანალიზი 16

1.1. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა 22

1.2. აღკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების ძირითადი ტენდენციები 23

ა) პატიმრობა 23

ბ) გირაო 24

გ) შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ 29

დ) პირადი თავდებობა 30

ე) დამატებითი ვალდებულება 30

ვ) სხდომები, რომლებზეც სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება 31

II. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება 32

III. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები 34

IV. წინასასამართლო სხდომა 37

1. წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმებების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები 38

V. საპროცესო შეთანხმება 40

1. უფლებების განმარტება 43
2. საპროცესო შეთანხმების განხილვის დრო 44
3. საპროცესო შეთანხმებისას გამოყენებული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა 45
4. საპროცესო შეთანხმების შედეგად დაკისრებული სასჯელები 46

VI. არსებითი განხილვა 50
1. სხდომის გადადება/გაჭიანურება 50
2. საქმეთა გაჭიანურება 51
3. სხდომების დაგვიანებით დაწყება 54
4. არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენები 55
VII. ოჯახური დანაშაულები 57
1. ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები 57
2. ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები და სასჯელები 59
VIII. პროცესის ჩატარების ფორმა 60
IX. სხვა საკითხები 61
1. განაჩენის აღსრულების გადავადება 61
1.1. განხილვის ვადები 62
1.2. შუამდგომლობის განხილვის სხდომებზე მსჯავრდებულის მონაწილეობის დამაბრკოლებელი გარემოებები 62
1.3. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები 63
2. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა და სხდომების საჯაროობა 63
3. საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპამდე არ მივიდა 65
4. სსკ-ის 169-ე მუხლი - შრომის კანონმდებლობის დარღვევა 66
5. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა 67
6. უდანაშაულობის პრეზუმფცია 67
7. ბრალდებულისთვის ზარის განხორციელების უფლების შეზღუდვა 68
X. რეკომენდაციები 69

მოკლე მიმოხილვა

ამ ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის სასამართლო პროცესებზე დაკვირვებას 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისამდე პერიოდში.[1] ანგარიშში გაანალიზებულია სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე გამოკვეთილი გამოწვევები, რომლებიც, შესაძლოა, იყოს სისტემური პრობლემები სასამართლო ხელისუფლებაში, არსებითი გავლენა მოახდინოს პირის თავისუფლების და უსაფრთხოების ასპექტებზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და ამ უფლებების ეფექტიანი დაცვის საშუალებაზე.

ანგარიშში გაანალიზებულია: სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები; დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელების ასპექტები; სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებული გარემოებები სასამართლოს მონიტორინგის ჭრილში; წინასასამართლო სხდომები; საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებული საკითხები; არსებითი განხილვის სხდომები. ამასთანავე, სახელმწიფოში ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების მზარდი რაოდენობის გამო, ცალკეა გამოყოფილი ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებული გარემოებები; ასევე, გაანალიზებულია პროცესის ჩატარების ფორმა (დისტანციური პროცესების ჭრილში); განაჩენის აღსრულების გადავადებასთან, საჯარო ინფორმაციასა და სხდომების საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ **სუსტია სასამართლო კონტროლი ისეთ გარანტიებთან დაკავშირებით,** რომლებიც ეხება აღკვეთის ღონისძიებას, დაკავების კანონიერებასა და საპროცესო შეთანხმებას. მოსამართლეები საჯარო სხდომებზე არ მსჯელობენ დაკავების კანონიერებაზე, თუ ამის შესახებ შუამდგომლობა დაცვის მხარემ არ წარადგინა. პატიმრობისა და გირაოს გარდა, იშვიათად გამოიყენება სხვა აღკვეთის ღონისძიებები (მაგალითად, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა), რაც განპირობებულია როგორც სასამართლოს, ისე ბრალდებისა და დაცვის მხარის არასათანადო მონდომებით, ასევე, საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებით. სასამართლო თითქმის ყოველ მეხუთე საქმეზე იყენებდა დამატებით ვალდებულებებს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად.

უმეტესად კვლავ ფორმალურია საპროცესო შეთანხმების სხდომები. მოსამართლეები სრულყოფილად არ განმარტავენ შესაბამის უფლებებს და სათანადოდ არ იკვლევენ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობას. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული ჯარიმა წინასწარ გადაიხადა. ასეთი ფაქტები კიდევ უფრო აკნინებს სასამართლოს როლს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ნაწილში.

პროცესებზე დაკვირვებით გამოვლინდა **სავარაუდო არასათანადო მოპყრობის რამდენიმე შემთხვევა.**

[1] დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ მეთოდოლოგიის თავში.

ქვეყანაში ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების გაზრდილი რაოდენობის გამო, ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებული გარემოებები. ბოლო პერიოდში **გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რიცხვი,** თუმცა ეს, უმეტესად, **ოჯახური დანაშაულების** საქმეებს უკავშირდება. როგორც წესი, ბრალდების მხარე გაცხადებულ მიზნად ისახავს, შეუწყნარებელი პოლიტიკა ჰქონდეს სავარაუდო მოძალადეების მიმართ და, უმეტესად, მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას ითხოვს. თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირედით დაიკლო ამ ტიპის დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევების რაოდენობამ.[2]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა **გაჭიანურებული სამართალწარმოება -** კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადების დარღვევა და წლების განმავლობაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები.

პრობლემად რჩება სხდომების ხშირი გადადება და დაგვიანებით დაწყება.

იმის მიუხედავად, რომ ბოლო დროს პანდემია ნაკლებად აქტუალური იყო, სასამართლოები, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადამდე, მაქსიმალურად იყენებდნენ სხდომების დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობას. ანგარიშში ასევე მიმოხილულია პროცესის დისტანციურ ფორმასთან დაკავშირებული მიგნებები.

ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხებზე დაყრდნობით, საია წარმოადგენს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელთა მიზანიც არსებული პრობლემების აღმოფხვრაა. კომპეტენტურმა უწყებებმა უნდა გამოიჩინონ ნებელობა, შეასრულონ ეს რეკომენდაციები და მიიღონ ყველა ზომა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

[2] წინა საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით მონაცემებს.

შესავალი

საია 2011 წლიდან აკვირდება სისხლის სამართლის პროცესებს სასამართლოებში. ის არის **საქართველოში პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო და წლების განმავლობაში განავითარა წინასწარ შემუშავებული, პროფესიონალურად გამართული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაზე დაკვირვება,** რასთან დაკავშირებითაც ყოველთვის საჯაროდ წარმოადგენს მონიტორინგის შედეგებს.[3]

ამ დრომდე ორგანიზაციამ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის 16 ანგარიში მოამზადა. ასევე, გამოსცა ორი სპეციალური ანგარიში, რომლებიც პანდემიასთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოებას შეეხებოდა.[4] სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი მიზნად ისახავს პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, ობიექტური დაკვირვების გზით, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ტენდენციების გამოვლენას, საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევების, ასევე, დადებითი პრაქტიკის იდენტიფიცირებას. ეს შეეხება როგორც სასამართლოს, ასევე, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მიერ დამკვიდრებულ მიდგომებსა და პოზიციებს. წლების განმავლობაში დაკვირვების შედეგების გაანალიზების გზით, საია უზრუნველყოფს საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სასამართლო სისტემის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის ინფორმირებას სამართალწარმოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. ამის მთავარი მიზანია მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება და, შედეგად, ადამიანებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გარანტიების გამყარება.

[3] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2021, 4. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ckZ14, განახლებულია: 01.10.2023.

[4] საიას სპეციალური ანგარიში „სასამართლო პანდემიის დროს“, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lLA6la; საიას სპეციალური ანგარიში „პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე“, 2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sLnM6K [ბოლო ნახვა: 25.10.2022].

მეთოდოლოგია

წარმოდგენილი N17 ანგარიში მოიცავს **სისხლის სამართლის პროცესებზე** დაკვირვების შედეგებს **თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სასამართლოებში, 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში.**

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 844 სასამართლო სხდომას.

ცხრილი N1: *საანგარიშო პერიოდში საიას მიერ დაკვირვებული საქმეების განაწილება*

i. არსებითი განხილვის სხდომა	**247**
ii. საპროცესო შეთანხმების სხდომა	**217**
iii. წინასასამართლო სხდომა	**76**
iv. აღკვეთის ღონისძიების სხდომა	**291**
v. სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვის სხდომა	**13**

მონიტორები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს. თუმცა, ორგანიზაციამ სისტემური მონიტორინგი განახორციელა იმ საქმეებზე, რომლებიც:

I. **შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით;**

II. **ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, რომლებშიც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები.**

მიმდინარე საანგარიშო პერიოდიდან საიამ მონიტორინგი **განახლებული მეთოდოლოგიით** განახორციელა. სიახლეა <u>მოთხოვნაზე დაფუძნებული სასამართლო მონიტორინგი,</u>[5] რომელიც შეეხება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ორგანიზაცია სასამართლო პროცესებს აკვირდებოდა მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზეც, თუკი საქმე შემდეგი ტიპის შემთხვევებს განეკუთვნებოდა:

I. **ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მაღალი რისკის მქონე შემთხვევები;**

II. **სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა მიმართაც არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი;**

III. **სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები;**

IV. **მასმედიასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები;**

V. **სისხლის სამართლის საქმეები, როდესაც დისკრიმინაცია შეიძლება გახდეს მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლები, შშმ პირები და სხვადასხვა ჯგუფის უმცირესობები) წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის საფუძველი;**

[5] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია, მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე, 14 საქმეს აკვირდებოდა.

VI. სამოქალაქო საქმეები, რომლებიც ეხება სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ ან მედიასთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოებას;

VII. საქმეში ბრალდებული არის ძალოვანი უწყების ყოფილი ან/და მოქმედი თანამშრომელი.

ანგარიშში ასახული ყველა ინფორმაცია მიღებულია ამგვარ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. მონიტორინგი წარიმართა როგორც დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასევე, უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებით. სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის პრინციპიდან გამომდინარე, საიას მონიტორები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს. დაკვირვების პროცესში საიას მონიტორები ხელმძღვანელობდნენ სპეციალურად მომზადებული და განახლებული კითხვარებით. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე, „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთანავე, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო ცხადსა და კონტექსტზე ორიენტირებულს ხდიდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება.

მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ასევე, სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსების მიერ. ანგარიშში არ არის განხილული და დამუშავებული სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს. ამის დამადასტურებელი მაგალითები და შესაბამისი ინფორმაციული გრაფიკები წარმოდგენილია, რათა გაამყაროს ანგარიშის მიგნებები. მონაცემები ეყრდნობა საიას მიერ დაკვირვებულ საქმეებს (თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული).

ხაზგასასმელია, რომ მონიტორინგის მიღმაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. საიას ყველა შემთხვევაში არ გაუანალიზებია ის საკითხები, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

ანგარიშის ბოლოს საია წარმოადგენს რეკომენდაციებს სასამართლო სისტემის, გენერალური პროკურატურისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ, რათა მათ ისინი თავიანთ პრაქტიკასა და პოლიტიკაში გაითვალისწინონ.

ძირითადი მიგნებები

1. პირველი წარდგენის სხდომები

1.1. პირველი წარდგენის სხდომებზე სასამართლო ბრალდებულებს, უმეტესად, უფარდებს აღკვეთის ღონისძიებას. საიას მონიტორები დაესწრნენ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის 291 სხდომას, 315 ბრალდებულის მონაწილეობით. აქედან, 279 სხდომაზე **303 (96%)** პირს **შეეფარდა** აღკვეთის ღონისძიება, **12 (4%)** პირის მიმართ კი მოსამართლემ **არ გამოიყენა** აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

წლებია, საია საუბრობს, რომ სასამართლო უალტერნატივოდ იყენებს აღკვეთის ღონისძიების ორ სახეს - გირაოსა და პატიმრობას. ორგანიზაციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, საკანონმდებლო დონეზე კვლავ არ გაფართოებულა აღკვეთის ღონისძიების არსებული სახეები, რაც მოსამართლეებს მისცემდა გირაოსა და პატიმრობის ალტერნატიული ეფექტიანი ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობას.

1.2. ბრალდების მხარე **310 (98%)** პირის მიმართ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. სასამართლომ **175 (63%)** სხდომაზე **189 (62%)** პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა **გირაო, 102 (36%)** სხდომაზე **112 (37%)** პირს - **პატიმრობა, 2 (1%)** სხდომაზე **კი 2 (1%)** პირის მიმართ გამოიყენა **გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება.**

1.3. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ მაღალია გირაოს და პატიმრობის დაუსაბუთებლად ან არასათანადო დასაბუთებით გამოყენების მაჩვენებელი. პროკურატურა ბრალდებულის პიროვნების, მისი ქონებრივი მდგომარეობისა და ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების შესასწავლად ყველა შემთხვევაში არ ცდილობს, მოიპოვოს და სასამართლოში წარმოადგინოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სრულყოფილი ინფორმაცია.

აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა[6]

1.4. ბრალდების მხარე **167 (53%)** ბრალდებულის მიმართ ითხოვდა **პატიმრობის გამოყენებას,** რაც სასამართლომ **55 (33%)** შემთხვევაში **არ დააკმაყოფილა.** აქედან, **53 (96%)** ბრალდებულს სასამართლომ შეუფარდა **გირაო, 1-ს (2%)** - **გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება,** ხოლო **1 (2%)** ბრალდებულს **არ შეუფარდა** აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. **41 (37%)** პირის მიმართ გამოყენებული **პატიმრობა** იყო **დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული,** რაც იმას ნიშნავს, რომ, **წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4%-ითაა გაზრდილი დაუსაბუთებლად ან/და არასათანადო დასაბუთებით შეფარდებული პატიმრობის მაჩვენებელი.[7]**

[6] პროცენტული მაჩვენებლები დათვლილია სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საერთო ჯამიდან.

[7] წინა საანგარიშო პერიოდი მოიცავდა 5 სასამართლოს მონიტორინგს 18 თვის განმავლობაში და 2064 სხდომას.

1.5. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 49 (17%) სხდომას, რომელიც დასრულდა 15 წუთში ან უფრო ნაკლებ დროში. დროის მცირე მონაკვეთში აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის განხილვა არ აძლევს მხარეებს შესაძლებლობას, სათანადოდ დაასაბუთონ სასამართლოში წარდგენილი პოზიციები. ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში ბრალდებულს უფლებები სრულყოფილად, მისთვის გასაგებ ენაზე არ განემარტება.

აღკვეთის ღონისძიება - გირაო

1.6. სასამართლომ **189 (62) ბრალდებულის** მიმართ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების სახით **გირაო.** აქედან, **ბრალდების მხარე 143 (45%)** პირის მიმართ ითხოვდა **გირაოს** გამოყენებას, საიდანაც **136 (95%)** შემთხვევაში ბრალდების მხარის **შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. 1 (1%)** შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა **გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება,** ხოლო **6 (4%)** შემთხვევაში **არ გამოუყენებია** აღკვეთის ღონისძიების **არცერთი** სახე.

1.7. რაც შეეხება გირაოს თანხას, სასამართლომ 35 (19%) პირის მიმართ გამოიყენა გირაოს მინიმალური (1000) ოდენობა. თავად ბრალდების მხარე მხოლოდ ერთი მათგანის მიმართ ითხოვდა 1000-ლარიანი გირაოს შეფარდებას. ბრალდების მხარის მიერ გირაოს თანხის ოდენობად განსაზღვრული თანხა სასამართლომ **127 (89%)** პირთან მიმართებით **შეამცირა.**[8]

1.8. აღსანიშნავია, რომ 31 (16%) ბრალდებულს შეეფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

1.9. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აღმოფხვრა ის ბუნდოვანება, რომელზე აპელირებითაც ზოგიერთი მოსამართლე დაკავებულ პირთა მიმართ უაპელაციოდ იყენებდა პატიმრობით უზრუნველყოფილ გირაოს.

1.10. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში **81 (43%)** ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო იყო **დაუსაბუთებელი,** თანხის ოდენობის შესაბამისობა ან/და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა არ იყო თანხვედრაში.

1.11. საანგარიშო პერიოდში სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, 64 (34%) ბრალდებულს დააკისრა **დამატებითი ვალდებულება. კვლავ პრობლემაა ის ფაქტი, რომ მხარეს, აღკვეთის ღონისძიებისგან დამოუკიდებლად, არ აქვს დამატებითი ვალდებულების ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.**

---

[8] ბრალდების მხარე 143 პირის მიმართ ითხოვდა გირაოს თანხის გარკვეული ოდენობის გამოყენებას, რომელიც 127 შემთხვევაში სასამართლომ შეამცირა. ამასთანავე, ***წინა საანგარიშო პერიოდში, რომელიც 5 სასამართლოს მონიტორინგს მოიცავდა, ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა. წელს კი 3 სასამართლოს მონიტორინგით იკვეთება, რომ გირაოს თანხის შემცირების მაჩვენებელი 1%-ითაა შემცირებული.***

2. სათანადო სასამართლო კონტროლი და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

2.1. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის **183 (59%)** სხდომაზე **177 (56%)** ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4%-ით შემცირებული მაჩვენებელია. კვლავ პრობლემად რჩება დაკავების კანონიერების საკითხის საჯარო სხდომაზე განხილვა. გაუგებარია, სასამართლოს რატომ არ აქვს მოტივაცია, დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით საჯარო სხდომაზე მოისმინოს მხარეთა პოზიციები.

2.2. ოთხმა ბრალდებულმა ისაუბრა პოლიციელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

2.3. არაერთი მოწოდების მიუხედავად, არ გამოვლენილა შემთხვევა, როცა პროკურატურა საკუთარი ინიციატივით ითხოვს შეფარდებული პატიმრობის შეცვლას ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. მართალია, მოსამართლეები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, პატიმრობის მიზანშეწონილობას პერიოდულად გადასინჯავენ, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამას ფორმალური ხასიათი აქვს და პრაქტიკის დონეზე არცთუ ქმედითი მექანიზმია.

3. წინასასამართლო სხდომები

3.1. საიას მონიტორები დაესწრნენ 76 წინასასამართლო სხდომას, რომლებზეც სასამართლოში ბრალდებულის სახით წარდგა 81 პირი. ბრალდების მხარემ **70 (92%)** სხდომაზე წარადგინა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობა. დანარჩენ **6 (8%)** შემთხვევაში საიას მონიტორები უშუალოდ შუამდგომლობის წარდგენის ეტაპს არ დასწრებიან, რადგან სხდომა გადაიდო ან გაგრძელდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წინა წლებში, ბრალდების მხარემ მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ყველა სხდომაზე წარადგინა მტკიცებულებები. **24 (32%)** სხდომაზე დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ბრალდების მხარის მტკიცებულებები, **52 (68%)** შემთხვევაში მოითხოვა არსებითი განხილვის სხდომაზე მათი გამოკვლევა, ხოლო **3 (4%)** სხდომაზე იშუამდგომლა მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა.

3.2. სასამართლომ **66 (94%)** სხდომაზე **სრულად დააკმაყოფილა** ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, ხოლო **1 (1%)** შემთხვევაში - ნაწილობრივ.[9]

3.3. დაცვის მხარემ **14 (18%)** სხდომაზე ითხოვა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა. წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის მაჩვენებელი შეადგენდა 27%-ს.

[9] დანარჩენ შემთხვევებში, წინასასამართლო სხდომებზე, რომლებსაც საიას მონიტორი ესწრებოდა, განხილვა არ დასრულებულა და პროცესი გადაიდო, ამიტომ 5%-ის შემთხვევაში ბრალდების მხარის შუამდგომლობასთან დაკავშირებული შედეგი ჩვენთვის უცნობია.

3.4. ბრალდების მხარემ **5** შემთხვევაში უდავოდ მიიჩნია დაცვის მხარის შუამდგომლობები, ხოლო **2** შემთხვევაში მოითხოვა მათი დაუშვებლობა. **3** სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად ცნო მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

3.5. მონიტორინგმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც, სასამართლოს მოწოდებით, ბრალდების მხარე საჯარო სხდომაზე არ კითხულობს მტკიცებულებათა ნუსხას.

4. საპროცესო შეთანხმებები

4.1. არ ხორციელდება ჯეროვანი სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმებებზე. სასამართლომ **217** საპროცესო შეთანხმების სხდომიდან (**248 პირის** მიმართ) მხოლოდ **2 (1%)** შეთანხმება არ დაამტკიცა.

4.2. ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება იდება **საკუთრების წინააღმდეგ** მიმართულ **[53 (22%)], ნარკოტიკულ [48 (20%)]** და **მმართველობის წესის წინააღმდეგ** ჩადენილ დანაშაულებზე **[32 (13%)]**.

4.3. მონიტორინგმა გამოავლინა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული **ჯარიმის წინასწარ გადახდის 2 შემთხვევა.**

4.4. როგორც წესი, სასამართლო საჯარო სხდომაზე არ მსჯელობს სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე. მოსამართლემ მხოლოდ 5 (2%) საქმეში აღნიშნა, რომ სასჯელი კანონიერად და სამართლიანად მიაჩნდა.

4.5. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმების სხდომებზე ბრალდებულთათვის უფლებების განმარტების კუთხით სიტუაცია მცირედით **გაუმჯობესდა.** მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმების სხდომებზე ბრალდებულებს უფლებები სრულყოფილად განემარტათ **165 (76%)** შემთხვევაში. შესაბამისად, **24%** შეადგინა შემთხვევებმა, როდესაც განმარტება არ იყო ნათელი და ჯეროვანი. **წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მონაცემი 11%-ით გაუმჯობესებულია.**

4.6. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 61 (28%) სხდომაზე პროკურორის მიერ შუამდგომლობის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდა, ბრალდების მხარემ წაიკითხა საპროცესო შეთანხმების პირობები და საქმის გარემოებებზე არ უსაუბრია.

4.7. საპროცესო შეთანხმებები **მცირე დროში განიხილება.** საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმების სხდომათა 50% (108 სხდომა) **15 წუთამდე დროში დასრულდა.**

4.8. როგორც დაკვირვებამ ცხადყო, საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელებიდან ყველაზე ხშირად **ჯარიმა** - 35% (86 შემთხვევა), **პირობითი მსჯავრი და ჯარიმა** ერთად - 25% (61 შემთხვევა) ან **პირობითი მსჯავრი** - 24% (59 შემთხვევა) გამოიყენება. **შემცირებულია** საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის სახის - **საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის** შეფარდება და ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ს (10) შეადგენს. დანარჩენი 12%-ის შემთხვევაში კი სხვა სასჯელი იყო გამოყენებული.

4.9. საგრძნობლადაა გაზრდილი საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის საშუალო ოდენობა და 4746 ლარს შეადგენს, მაშინ, როცა წინა საანგარიშო პერიოდში ის 3451 ლარი იყო. სასამართლოს მონიტორინგი აჩვენებს, რომ ჯარიმის საშუალო ოდენობა, ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, მზარდია.

5. არსებითი სხდომა

5.1. საიამ მონიტორინგი გაუწია არსებითი განხილვის 247 სხდომას 484 პირის მიმართ. აქედან 88 (36%) სხდომა გადაიდო. არსებითი განხილვის დროს სხდომათა გადადების მაჩვენებელი, **წინა წლის მონაცემთან შედარებით, 3%-ითაა შემცირებული.**

5.2. არსებითი განხილვის 247 სხდომიდან 92 (37%) მათგანი **დაგვიანებით დაიწყო.** ამის მიზეზი, უმეტესად, იყო მოსამართლის დაგვიანება - 32 (35%) შემთხვევაში, ხოლო ადვოკატის დაგვიანება - 22 (24%) შემთხვევაში. ასევე, 9 (10%) შემთხვევაში ამის მიზეზი იყო პროკურორის დაგვიანება, ხოლო 5-ში (5%) - პენიტენციური სამსახურის მხრიდან ბრალდების დროულად წარმოუდგენლობა. სხვა პროცესის იმავე სხდომის დარბაზში გაგრძელების მიზეზით სხდომა დაგვიანებით დაიწყო 7 (8%) შემთხვევაში, ბრალდებულის დაგვიანების გამო - 1 (1%), ხოლო სხვა მიზეზით - 16 (17%) შემთხვევაში.

5.3. პრობლემურია სხდომების გაჭიანურება. სასამართლო მონიტორინგი ავლენს არაერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში წლობით მიმდინარეობს, ისე, რომ კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა.

5.4. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განაჩენი გამოვიდა 30 საქმეზე (12%). აქედან, 5 (17%) მათგანზე გამოტანილი განაჩენი იყო სრულად გამამართლებელი, ხოლო 24 - გამამტყუნებელი (80%). 1 შემთხვევაში (3%) ქმედება გადაკვალიფიცირდა უფრო მსუბუქ დანაშაულზე.

5.5. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 2%-ითაა შემცირებული გამამართლებელი განაჩენის ხვედრითი წილი.

6. ოჯახური დანაშაულები

6.1. 315 პირის მიმართ ჩატარებული აღკვეთის ღონისძიების შერჩევის სხდომიდან 81 პირის (26%) საქმე ოჯახურ დანაშაულს შეეხებოდა. სასამართლომ 30 (37%) მათგანის მიმართ **პატიმრობა,** 47-ის (58%) მიმართ კი, **გირაო გამოიყენა.** 1 (1%) პირს შეეფარდა **შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ**. ხოლო **3** (4%) შემთხვევაში ოჯახში ძალადობაში ბრალდებული მოსამართლემ **აღკვეთის ღონისძიების გარეშე** დატოვა.

6.2. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორინგს არ გამოუვლენია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულისთვის ბრალდებულ პირთათვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევა.

6.3. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიდგომა უფრო ლოიალურია. ზოგიერთი მოსამართლე ჯე-

როვნად არ აფასებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ პირთაგან მომდინარე საფრთხეებს. მოსამართლეები ამ ტიპის დანაშაულზე, წინა წელთან შედარებით, 9%-ით ნაკლებად იყენებენ აღკვეთის ღონისძიებას - პატიმრობას. გირაოს შეფარდების შემთხვევები კი 10%-ითაა გაზრდილი.

6.4. საიას მონიტორინგს დაქვემდებარებული 247 არსებითი განხილვის სხდომიდან 48 (19%) მათგანი ოჯახურ დანაშაულსა და ოჯახში ძალადობის საქმეს შეეხებოდა. ამ ტიპის საქმეებზე სასამართლომ სასჯელის სახედ, უმეტესად, გამოიყენა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა (6 (50%) შემთხვევა), ხოლო 4 (29%) შემთხვევაში - პირობითი მსჯავრი.

7. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

7.1. გამოწვევაა სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა. პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაცია, უმეტესად, არ ქვეყნდება.

7.2. სასამართლოები, ხშირ შემთხვევაში, არ გასცემენ საჯარო ინფორმაციას იმ არგუმენტით, რომ კონკრეტულ მონაცემებს არ ამუშავებენ, მაშინ, როცა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჯარო უწყებების მოვალეობაა. ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მოიცავს მოთხოვნის არსებობისას იმ მონაცემების დამუშავებასაც, რომლებსაც უწყება საკუთარი სურვილით არ აქვეყნებს.

7.3. კვლავ პრობლემაა პროკურორის დადგენილებით ბრალდებულთათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის დაუსაბუთებლად შეზღუდვა. ამასთანავე, საიას აზრით, ბრალდებულთათვის ადვოკატებთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არღვევს ბრალდებულის დაცვის უფლებას.

I. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები

სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომით (შემდგომში - პირველი წარდგენის სხდომა) იწყება ბრალდებულის მიმართ მიმდინარე სასამართლო პროცესები. პირველი წარდგენის სხდომებზე სასამართლო განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობას.[10] მოსამართლე არკვევს, ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა, განუმარტავს მას ბრალდების არსს და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისთვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას. დაკავებულ ბრალდებულთა შემთხვევაში, აფასებს დაკავების კანონიერებას და ბრალდებულს აწვდის ინფორმაციას საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის შესახებ. ამასთანავე, ბრალდებულს ეძლევა საშუალება, ბრალისა და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის თაობაზე გამოთქვას საკუთარი პოზიცია, ისაუბროს დაკავებისა და გამოძიების მიმდინარეობის პროცესში მისი, როგორც ბრალდებულის, უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.[11] მოსამართლე აფასებს ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეებს და მის მიმართ იყენებს აღკვეთის ღონისძიების იმ სახეს,[12] რომლითაც ყველაზე მეტად მიიღწევა აღკვეთის ღონისძიების მიზნები.[13]

1. პირველი წარდგენის სხდომების ანალიზი

პირველი წარდგენის სხდომების 99%-ის შემთხვევაში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ ორი სახე - გირაო ან პატიმრობა გამოიყენა. მხოლოდ 4% შეადგინა იმ სხდომებმა, რომლებზეც სასამართლომ პირს აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ შეუფარდა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის **291 სხდომას,** სადაც ბრალდებულის სახით სასამართლოში წარდგა **315** პირი. სასამართლომ სულ **279 (96%)** სხდომაზე **303 (96%)** ბრალდებულის მიმართ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება. აქედან, **175 (63%)** სხდომაზე **189 (62%)** პირს შეუფარდა **გირაო**, **102 (37%)** სხდომაზე **112 (37%)** პირს - **პატიმრობა, 2 (1%)** სხდომაზე **2 (1%)** პირს - **გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება,** ხოლო **12 (4%)** სხდომაზე **12 (4%)** პირის მიმართ **არ გამოუყენებია აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.**

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამჯერად, სასამართლოს 315 პირიდან ერთის მიმართაც კი არ შეურჩევია აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობა.[14]

[10] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი *(სსსკ)*, მუხლი 196.
[11] *იქვე*, მუხლი 197.
[12] *იქვე*, მუხლი 200.
[13] *იქვე*, მუხლი 198.1.
[14] წინა საანგარიშო პერიოდში 559 ბრალდებულიდან სასამართლომ ერთის (1%) მიმართ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობა. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 2022, 16, 26. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45y4ZgR [09.09.2023].

დიაგრამა №1: *ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიებათა სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით (2016 წლის მარტიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით).*[15]



დიაგრამაზე ასახული მონაცემები ცხადყოფს, რომ სასამართლო კვლავ **უალტერნატივოდ იყენებს ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას - გირაოსა და პატიმრობას.** მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შედარებით **გაზრდილია გირაოს შეფარდების მაჩვენებელი**, თუმცა, ***მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რა განაპირობებს ამ მაჩვენებლების ზრდას, ხომ არ უკავშირდება ეს ოჯახში ძალადობის დანაშაულის მიმართ ბოლო პერიოდში სასამართლოს შედარებით ლოიალურ პოლიტიკას.***[16]

მეორე მხრივ, პირადი თავდებობის გამოყენებას, შესაძლოა, აბრკოლებდეს თავდებთა მოძიება და სასამართლოში წარმოდგენა, აგრეთვე, თავდების პასუხისმგებლობის საკითხები,[17] გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენებას კი - ვიწრო საკანონმდებლო რეგულირება. კონკრეტულად, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით.[18]

თუმცა, ამ შემთხვევაში, არსებული მოცემულობითაც, განსახილველი დანაშაულის სასჯელები სასამართლოს აძლევს ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების მეტად დასაზღვევად,

[15] დიაგრამაზე ასახული მონაცემები 2016 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით მოიცავს ერთწლიან საანგარიშო პერიოდს, ხოლო 2023 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით - 9-თვიან პერიოდს.

[16] იხ. თავი - ოჯახური დანაშაულები.

[17] საია, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები. 2020, 48.

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი *(სსკ)*, მუხლი 202.

მას შეუძლია, გამოიყენოს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ერთ ან რამდენიმე დამატებით ვალდებულებასთან ერთად.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს **ადვოკატების პასიურობაც.** მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარემ მხოლოდ 2 (1%) შემთხვევაში იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება.[19] ეს, სავარაუდოდ, განპირობებულია დაბალი მოლოდინებით, რადგან სასამართლო, წლებია, ძირითადად, აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ ორ სახეს იყენებს.

მნიშვნელოვანია, რომ დაცვის მხარემ სათანადოდ განუმარტოს ბრალდებულს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ასევე, მიიღოს მისგან საკმარისი ინფორმაცია მისი პიროვნების შესახებ, შემდგომში პროკურორისა და სასამართლოსთვის მისაწოდებლად. ამის საფუძველზე, ის შეძლებს, ეფექტიანად შესთავაზოს სასამართლოს ესა თუ ის აღკვეთის ღონისძიება. აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინდივიდუალური დასაბუთება, რაც მომავალში სასამართლო პრაქტიკის განვითარებას დაეხმარება.

[19] ბრალდების მხარე 310 (98%) პირის მიმართ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაცვის მხარე მხოლოდ 9 (2%) შემთხვევაში ითხოვდა ბრალდებულის დატოვებას აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 1 (1%) შემთხვევაში დაეთანხმა პატიმრობას, ხოლო ყველა დანარჩენ 298 (96%) შემთხვევაში ითხოვდა გირაოს ან გირაოს თანხის ოდენობის შემცირებას.

დიაგრამა №2: *მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ქალაქების მიხედვით (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით).*[20]



გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით,[21] გირაოს გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი თბილისშიც გაიზარდა. **ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში ამას განაპირობებს ოჯახში ძალადობის დანაშაულის მიმართ შედარებით ლოიალური დამოკიდებულება. ბოლო წლებისგან განსხვავებით, ამ დანაშაულის მიმართ სასამართლოს პოლიტიკა შემსუბუქდა.**

საყურადღებოა, რომ სასამართლო პროცესებზე დაკვირვებისას სულ უფრო ხშირად გვხვდება ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის მხრიდან **ქვეყნის დატოვების საფრთხეზე** აპელირება, მაშინ, როცა სასამართლოს შეუძლია, ბრალდებულს გარკვეული პერიოდით აუკრძალოს საზღვრის კვეთა. ეს გვაფიქრებინებს, რომ საუბარია კანონის გვერდის ავლით საზღვრის კვეთაზე. ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეების კუთხით ამაზე ხშირად მითითება კი აჩენს ეჭვებს სახელ-

[20] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები **თბილისის** საქალაქო სასამართლოში დაესწრნენ 125 სხდომას 139 ბრალდებულის მიმართ. აქედან, 67 (53%) სხდომაზე 73 (52%) პირის მიმართ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო, 53 (42%) სხდომაზე 61 (44%) პირის მიმართ - პატიმრობა, ხოლო 5 (4%) სხდომაზე 5 (4%) პირის მიმართ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. **ბათუმის** საქალაქო სასამართლოში მონიტორინგი გაეწია 117 სხდომას 125 ბრალდებულის მიმართ. აქედან, სასამართლომ 80 (68%) სხდომაზე 87 (70%) ბრალდებულს შეუფარდა გირაო, 34 (29%) სხდომაზე 36 (28%) პირს - პატიმრობა, ხოლო 3 (2%) სხდომაზე 3 (2%) პირს არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. **ქუთაისის** საქალაქო სასამართლოში მონიტორინგი გაეწია 49 სხდომას 50 პირის მიმართ. აქედან, 28 (57%) სხდომაზე 29 (58%) ბრალდებულს შეეფარდა გირაო, 15 (30%) სხდომაზე 15 (30%) ბრალდებულს - პატიმრობა, 2 (5%) სხდომაზე 2 (4%) პირს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 4 (8%) სხდომაზე 4 (8%) პირის მიმართ არ იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე.

[21] გასული წლის ერთწლიან საანგარიშო პერიოდში, ქალაქების მიხედვით, გირაოსა და პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი ასეთია: **თბილისის** საქალაქო სასამართლო - 44% პატიმრობა, 52% გირაო; **ქუთაისის** საქალაქო სასამართლო - 61% გირაო, 46% პატიმრობა; **ბათუმის** საქალაქო სასამართლო - 48% გირაო, 47% პატიმრობა.

მწიფო საზღვრის დაცულობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივი საცხოვრებლის არქონა ვერ შეფასდება ბრალდებულისგან აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულების ხელის შემშლელ ფაქტორად. დამატებით, ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ საფრთხეების განხილვისას არ მოხდეს **უსახლკარო პირთა მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა**, რაც, შესაძლოა, გახდეს საზოგადოებაში მათი სტიგმატიზაციის კიდევ ერთი საფუძველი.

საია სასამართლო სხდომებზე დაკვირვების ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე, არაერთი წელია, გასცემს ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის პიროვნების, მის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის რეკომენდაციას, რაც მეტად დასაბუთებულს გახდის სასამართლოში ბრალდების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.[22] სასამართლოს კი მისცემს შესაძლებლობას, ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით შეარჩიოს კონკრეტულ ინდივიდზე მორგებული აღკვეთის ღონისძიების სახე.

სხდომებზე დაკვირვების დროს კვლავ გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე უკვე ამოღებული მტკიცებულებების განადგურებასა და მოწმეებზე ზემოქმედებაზე საუბრობს, მაშინ, როცა გამოკითხულები არიან მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები. **კვლავ არის შემთხვევები, როცა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას ბრალდების მხარე საუბრობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე, მისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლით, მაშინაც კი, როცა სხდომაზე გასაჯაროებული მონაცემებით, ბრალდებულის წინარე გამოცდილება არ იძლევა ამგვარი ვარაუდის საფუძველს.**

[22] საიას სისხლის სამართლის პროცესების N16 ანგარიში, გვ. 73.

დიაგრამა №3: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საფუძვლები (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*[23]



აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობების დასაბუთებასთან დაკავშირებული არაერთი რეკომენდაციისა და ამ საკითხზე პროკურატურის მუშაობის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოში დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობების წარდგენა. ამის ხელშემწყობ ფაქტორად, შესაძლოა, დასახელდეს **პროკურორთა გადატვირთულობაც.** პროკურატურაში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ, ზოგ შემთხვევაში, პროკურორთა შორის საქმეები არათანაბრადაა გადანაწილებული.[24] ეს იწვევს მათი გარკვეული ნაწილის ზედმეტად დატვირთვას, რაც შესრულებული სამუშაოს ხარისხზე აისახება. ამავე უწყების 2021-2027 წლის სტრატეგიაში პრიორიტეტად არის დასახელებული ცალკეულ დანაშაულზე პროკურატურის თანამშრომელთა დატვირთვის ზრდის შესწავლა.[25] არსებითია, პროკურორთა დატვირთვა მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხზე არ აისახებოდეს.

[23] ბრალდების მხარე დასაბუთებაში აპელირებს ერთი ან ხშირად რამდენიმე მოსალოდნელი საფრთხის არსებობაზე.

[24] საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია, 38, https://shorturl.at/mqtzG [01.10.2023].

[25] საქართველოს პროკურატურის 2021-2027 წლების სტრატეგია. გვ. 22. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mrwD9 [01.10.2023].

1.1. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა

სასამართლო, ზოგ შემთხვევაში, სათანადო დროს არ უთმობს პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულისთვის უფლებების განმარტებას მისთვის გასაგებ ენაზე და მხარეთა პოზიციების სრულყოფილად მოსმენას.

საკმაოდ მაღალია პატიმრობის და გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების მაჩვენებელი. სასამართლო, უმრავლეს შემთხვევაში, დაუსაბუთებლად მიიჩნევს და ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობას.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 49 (17%) სხდომას, რომლებიც **15 წუთში** ან უფრო ნაკლებ დროში დასრულდა. ეს მაჩვენებელი საყურადღებოა, ვინაიდან პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა გამოარკვიოს არაერთი საკითხი, განუმარტოს ბრალდებულს უფლებები, მოისმინოს შუამდგომლობები. ამისთვის კი 15 წუთი ან უფრო ნაკლები დრო საკმაოდ მცირეა და ნაკლებად შესაძლებელია, ამ დროში, სხვა საკითხებთან ერთად, ბრალდებულს სრულყოფილად და მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს უფლებები.

დიაგრამა №4: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ 15 წუთამდე დროის შუალედში ჩატარებული აღკვეთის ღონისძიების სხდომები, ქალაქების მიხედვით (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



1.2. აღკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების ძირითადი ტენდენციები

ა) პატიმრობა

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მზღუდავი სახე, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის, ასევე, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.[26]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ პირველი წარდგენის სხდომაზე **112 (37%)** პირს შეუფარდა პატიმრობა.[27] ბრალდების მხარე **167 (53%)** პირის მიმართ ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. **55 (33%)** შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.[28] აქედან **53 (96%)** ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა გირაო, **1-ის (2%)** მიმართ - გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, ხოლო **1 (2%)** ბრალდებულს არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. **47 (42%)** პირისთვის შეფარდებული პატიმრობა იყო **დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული.**[29] წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, **4%-ით გაიზარდა დაუსაბუთებლად ან/და არასათანადო დასაბუთებით პატიმრობის გამოყენების შემთხვევები,**[30] რაც საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელია.

მნიშვნელოვანია, პატიმრობის შესახებ ბრალდების მხარის შუამდგომლობა, ყველა შემთხვევაში, მორგებული იყოს კონკრეტული პირის მხრიდან მომდინარე საფრთხეებსა და მათ დასაბუთებას. სასამართლოს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და თავისუფლებაზე ყოფნის პერიოდში მისგან მომდინარე რისკების თაობაზე. **საერთაშორისო სტანდარტით, დაუშვებელია პატიმრობის გამოყენება ზოგად, აბსტრაქტულ გარემოებებზე აპელირებით.** ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, კომპეტენტურმა უწყებებმა ბრალდებულის პიროვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდების კუთხით ოპერატიულად და ჯეროვნად ითანამშრომლონ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარესთან.

---

[26] სსსკ, მუხლი 205.

[27] წინა საანგარიშო პერიოდის ერთწლიან მონაცემებზე დაყრდნობით, სასამართლომ 253 (48%) პირს შეუფარდა პატიმრობა, რაც, 2021 წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით, უკვე იყო 6 პროცენტული ერთეულით შემცირებული მაჩვენებელი. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 18.

[28] ბრალდების მხარე 323 (58%) ბრალდებულის მიმართ ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. აქედან 70 (21%) შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, გვ. 18.

[29] საია პატიმრობას დაუსაბუთებლად ან არასათანადოდ დასაბუთებულად მიიჩნევს იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საფუძვლები აბსტრაქტულია, არ მიესადაგება კონკრეტულ პიროვნებასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, აგრეთვე, როცა საჯარო სხდომაზე სასამართლო შაბლონურად ასაბუთებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას და არ საუბრობს, რატომ ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის სათანადო ქცევას სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება.

[30] წინა საანგარიშო ერთწლიან პერიოდში 98 (38%) პირის მიმართ გამოყენებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 18.

დიაგრამა №5: *ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის შესახებ დაუსაბუთებელი ან/და არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მაჩვენებელს (2016 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



ბ) გირაო

გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.[31] ის გამოიყენება ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად. მისი მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები. მაქსიმალური თანხა არ არის დადგენილი. **გირაოს ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით.** გირაოს შეტანის წინ მის წარმდგენს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შესაძლო შედეგების შესახებ.[32] თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება, გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა. გირაოს უზრუნველყოფა უძრავი ქონებით ზოგჯერ საცხოვრებლის სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვის რისკებთანაა დაკავშირებული, თუმცა ხშირად ის შეჭირვებული ბრალდებულებისთვის პატიმრობისგან თავის დაღწევის საშუალებაა. დაკისრებული მოვალეობების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, გირაოს შემტანს თანხა უბრუნდება, ხოლო უძრავ ნივთს ეხსნე-

[31] სსსკ, მუხლი 200.
[32] იქვე. 200. 3.

ბა ყადაღა. ამასთანავე, თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია, გირაოს თანხის შემცირების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს, გამოძიების ადგილისა ან განსჯადობის მიხედვით. **ხშირად გირაო გამოიყენება პატიმრობის უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევებში, იმისთვის, რომ თავიდან ავირიდოთ შეფარული პატიმრობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გირაოს თანხის ოდენობის შერჩევა ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.**

სასამართლომ **303 ბრალდებულიდან 189-ის (62%)** მიმართ გამოიყენა გირაო აღკვეთის ღონისძიების სახით. ბრალდების მხარე **143 (45%)** პირის მიმართ ითხოვდა გირაოს შეფარდებას.[33] აქედან, **136 (95%)** შემთხვევაში შუამდგომლობა **დაკმაყოფილდა,** 1 (1%) ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, ხოლო 6 (4%) მათგანს აღკვეთის ღონისძიება არ შეუფარდა. სასამართლომ 35 (19%) შემთხვევაში გამოიყენა გირაოს მინიმალური (1000 ლარი) ოდენობა.[34] ბრალდების მხარე მხოლოდ ერთი პირის მიმართ ითხოვდა 1000-ლარიანი გირაოს შეფარდებას (წინა საანგარიშო პერიოდშიც მხოლოდ 2 პირის მიმართ ითხოვდა მინიმალური ოდენობით გირაოს გამოყენებას).[35] ბრალდების მხარის მიერ გირაოს თანხის ოდენობად განსაზღვრული თანხა სასამართლომ **127 (89%)** პირის მიმართ **შეამცირა.**[36] წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.[37] **ამ მონაცემზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა ხშირად დაუსაბუთებელია, რაც მოსამართლის მხრიდან, დიდწილად, მის შემცირებას იწვევს.**

მნიშვნელოვანია, სასამართლოს დადგენილი არ ჰქონდეს გირაოს თანხის მინიმალური ზღვარი და შეეძლოს 1000 ლარზე ნაკლები ოდენობით გირაოს შეფარდება, ბრალდებულთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

[33] 53%-ის შემთხვევაში ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას, ხოლო 2 (1%) შემთხვევაში არ მოუთხოვია აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შეფარდება.

[34] წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 52 (19%) ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაოს მინიმალური ოდენობა. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 9.

[35] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 22.

[36] მაქსიმალური თანხა, რომლითაც სასამართლომ ბრალდების მხარის მოთხოვნა შეამცირა, იყო 10 000 ლარი.

[37] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 22.

დიაგრამა №6: *ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასამართლოს მიერ პროკურატურის მხრიდან მოთხოვნილი გირაოს ოდენობის პროპორციის მაჩვენებელს (2016 წლის მარტიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*[38]



მიმდინარე საანგარიშო პერიოდში 81 (43%) ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო იყო დაუსაბუთებელი, თანხის ოდენობის შესაბამისობა ან/და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა არ იყო თანხვედრაში.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 31 (16%) ბრალდებულს შეუფარდა **გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.**

2022 წლის 24 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, **გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობის თაობაზე მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით.**[39] საია სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშებში წლების განმავლობაში პრობლემად გამოყოფდა საკანონმდებლო ჩანაწერის ბუნდოვანებას, რომელზე დაყრდნობითაც, მოსამართლეები დაკავებულ პირთა მიმართ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იყენებდნენ გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით. ეს კი, ყველა შემთხვევაში, იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას გირაოს უზრუნველყოფამდე, რაც ზღუდავდა მისი თავისუფლების უფლებას და პატიმრობაში ტოვებდა პირს, რომლის მიმართაც არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.[40] მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო, მაღალი პროცენტული მაჩვენებლით, ამცირებს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, ხშირად ადამიანებს მინიმალური ოდენობით გი-

[38] 2023 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით მოცემულია 9 თვის სტატისტიკა.

[39] საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ODsFHR. [ბოლო ნახვა: 25.10.2022].

[40] სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, გვ. 25.

რაოს გადახდის საშუალებაც არ აქვთ, სასამართლო კი მოკლებულია 1000 ლარზე ნაკლები ოდენობის გირაოს შეფარდების შესაძლებლობას. პრობლემურია აგრეთვე გირაოს თანხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის საკითხი იმ პირებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ ადვოკატი ან ისეთი ახლობელი, რომელიც პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ამასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს მოაწესრიგებს.

დიაგრამა №7: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია გირაოსა და პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი (2021 წლის აპრილი-2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად შეიცვალა სასამართლოს პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშის მომზადების მიზნებისთვის, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საქალაქო სასამართლოებში გაიგზავნა განცხადებები[41] შეკითხვით: *„2022 წლის ივლისიდან 2023 წლის 15 ივლისამდე პერიოდში რამდენი პირის მიმართ გამოიყენა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, აქედან რამდენ შემთხვევაში მოხდა გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება“.* გვიპასუხა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ, თუმცა, ცნობით, რომ *„მოთხოვნილი სახით/სახის ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. ამასთანავე, ინფორმაციის მოცულობის გამო, მათი მოძიება/დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურს, რის გამოც, მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.*[42] საკანონმდებლო ცვლილების ეფექტიანობა სრულყოფილად ვერ შეფასდება, როდესაც სასამართლო საკანონმდებლო ცვლილებების თანმდევ სტატისტიკურ მონაცემებს პროაქტიულად არ ამუშავებს და მას, მიმართვის შემთხვევაშიც კი, არ გასცემს.

[41] თბილისის საქალაქო სასამართლოს რეგისტრაციის ნომერი - 31836, ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი განცხადების რეგისტრაციის ნომერი გ-04/133–23, ქუთაისი საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი განცხადების რეგისტრაციის ნომერი Nგ-04/131-23.
[42] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 აგვისტოს N7751343 წერილი.

რეკომენდებულია, სასამართლომ, სხვა სტანდარტული მონაცემების დამუშავების მსგავსად, ამ ტიპის სტატისტიკაც აწარმოოს. ეს ხელს შეუწყობს თავად სახელმწიფოსა თუ სხვა დაინტერესებული პირების მხრიდან ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელებას და მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას.

იხილეთ პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებული გირაოს მაგალითები

საქმე №1: უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალს და კაცს ბრალი ედებოდათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ კვეთაში ჯგუფურად.[43] ბრალდებულები სასამართლოში წარდგნენ დაკავებულების სახით. ბრალდების მხარე ორივეს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ითხოვდა 8000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებას. პროკურორი საუბრობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, ასევე, მიუთითებდა დანაშაულის სიმძიმესა და ჯგუფურად ჩადენაზე. მისი განმარტებით, ბრალდებულებს არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში, ასევე, არ ჰყავდათ ნათესავები, შესაბამისად, რთული იქნებოდა მათი კონტროლი, თუკი გამოძიებისთვის ხელის შეშლასა და მიმალვას მოინდომებდნენ. მათ ფინანსურ მდგომარეობაზე პროკურორს არ უსაუბრია. ბრალდებულებმა აღნიშნეს, რომ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობდნენ, იყო სამოქალაქო არეულობა, ხოლო საქართველოში თავშესაფრის მიღებისა და მშვიდად ცხოვრების მიზნით ჩამოვიდნენ. დაცვის მხარემ მოითხოვა გირაოს თანხის ოდენობის შემცირება. მოსამართლის კითხვაზე, როგორ შეძლებდნენ თუნდაც შემცირებული გირაოს გადახდას, ბრალდებულებმა აღნიშნეს, რომ საფრანგეთში ჰყავთ ნათესავები, რომლებთან დაკავშირების შემთხვევაშიც, შეძლებდნენ შემცირებული გირაოს თანხის გადახდას. მოსამართლემ ორივეს მიმართ გამოიყენა გირაო 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით.

მოსამართლემ სხდომაზე განმარტა, რომ დაუშვებელია, საპატიმრო გირაო გაუტოლდეს პატიმრობას. ამის გათვალისწინებით, მან გირაოს თანხის ოდენობა შეამცირა, თუმცა ნაკლები ყურადღება დაუთმო იმის შეფასებას, როგორ გადაიხდიდნენ ბრალდებულები ამ თანხას პენიტენციური დაწესებულებიდან. ხშირად საქართველოში მცხოვრები პირებისთვისაც კი სირთულეებთანაა დაკავშირებული პენიტენციური დაწესებულებიდან გირაოს თანხის გადახდა, განსაკუთრებით, თუ ეს ქონების უზრუნველყოფით ხდება. იმ პირებისთვის კი, რომლებსაც, ენობრივი ბარიერის გარდა, საქართველოში არავინ ჰყავთ, ვინც თუნდაც სატელეფონო ბარათზე ჩაურიცხავს თანხას, რომ დარეკვა შეძლონ, ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება.

საქმე №2: პირს ბრალად ედებოდა დანაშაულის შეუტყობინებლობა.[44] სასამართლოში წარდგა დაკავებულის სახით. ბრალდების მხარე ითხოვდა მისთვის 4000-ლარიანი გირაოს შეფარდებას პატიმრობის უზრუნველყოფით და აღნიშნავდა, რომ ბრალდებული განზრახი დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი. სასამართლო განხილვის ეტაპზე ის იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. ბრა

[43] სსკ, მუხლი 344,2,ა.
[44] სსკ, მუხლი 376.

ლდებულის პიროვნების გათვალისწინებით, მაღალი იყო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. გარდა ამისა, პროკურორის განმარტებით, დანაშაულში მონაწილე პირებთან ბრალდებულს აკავშირებდა ახლობლობა და არსებობდა მათზე ზემოქმედების რისკი. პროკურორი მიუთითებდა მიმალვის საშიშროებაზეც. მას არ უსაუბრია ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობაზე. ბრალდებულს არ ჰყავდა ადვოკატი. მოსამართლემ მას კითხვები დაუსვა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ბრალდებულის თქმით, მისი ყოველთვიური შემოსავალი იყო 1000 ლარი, თუმცა იქვე განმარტა, რომ სოციალურად დაუცველია და გამოკითხვის დროს ამის შესახებ გამომძიებელსაც აცნობა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ შესაბამისი დოკუმენტი საქმეში არ იყო. პროკურორს ამ საკითხზე ინფორმაცია არ მიუწოდებია სასამართლოსთვის. მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით, პატიმრობით უზრუნველყოფის გარეშე.

ეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ბრალდების მხარემ გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით იხელმძღვანელა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით და არ შეუფასებია ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები, რაც გირაოს თანხის განსაზღვრის მეორე აუცილებელი კომპონენტია.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ორგანოებმა უზრუნველყონ, რომ ყველა შესაბამისი ინფორმაცია აისახოს საქმის მასალებში. მათ შორის, ეს ეხება ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის ნებისმიერ კონკრეტულ საჭიროებას, ინფორმაციას ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომა არის ადგილი, სადაც ასეთი საკითხები ბოლოს უნდა განიხილებოდეს, პროკურატურის სათანადოდ მომზადებამ არა მხოლოდ სავარაუდო დანაშაულის სიმძიმის, არამედ კანონით გათვალისწინებული გირაოს განსაზღვრის ყველა ელემენტის შესახებ, შესაძლოა, უკეთესი სტანდარტი შექმნას ბრალდებულთა უფლებების დასაცავად.

გ) შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება შესაძლებელია ისეთ ბრალდებულთა მიმართ, რომელთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულისთვის სასჯელის ზომა არ აღემატება ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას.[45]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეუფარდა მხოლოდ 2 (1%) პირს. ერთის მიმართ ბრალდების მხარე ითხოვდა პატიმრობის, მეორეს მიმართ კი გირაოს გამოყენებას. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარეს ამჯერადაც არც ერთ შემთხვევაში არ დაუყენებია შუამდგომლობა აღკვეთის ამ ღონისძიების მოთხოვნის შესახებ.[46]

[45] სსსკ, მუხლი 202.
[46] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 26.

მხარეთა და სასამართლოს უფლებამოსილება, მოითხოვონ და გამოიყენონ აღკვეთის ეს ღონისძიება, როგორც ჩანს, ეფექტიანობას კარგავს, ვინაიდან მისი შეფარდება შეიძლება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში და, თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ნაკლებად აქვს შემაკავებელი ხასიათი. ამიტომ, აუცილებელია, საკანონმდებლო ორგანომ გადახედოს, შეიძლება თუ არა ამ ღონისძიების გამოყენება უფრო შემზღუდავი ზომების ალტერნატივად ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებიც ისჯება ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით. ასეთი საკანონმდებლო ცვლილებით, აღკვეთის ღონისძიების ეს სახე უფრო მოქნილ და ქმედით მექანიზმად იქცევა.

დ) პირადი თავდებობა

ზემოაღნიშნული აღკვეთის ღონისძიებისგან განსხვავებით, პირადი თავდებობის გამოყენებას არ გააჩნია რაიმე შეზღუდვა სასჯელის სიმძიმესთან დაკავშირებით. თუმცა, მისი შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულისა და თავად თავდების თანხმობით.[47]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლოს პირადი თავდებობა არ გამოუყენებია.

ე) დამატებითი ვალდებულება

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულის მიმართ, შესაძლოა, აგრეთვე გამოყენებული იყოს შემდეგი ვალდებულებები:

- დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში;
- გარკვეული საქმიანობისა ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა;
- სასამართლოში, პოლიციასა ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადება და ანგარიშგება;
- სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების მხრიდან ზედამხედველობა;
- ელექტრონული მონიტორინგი;
- გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება გარკვეულ საათებში ან უამისოდ;
- გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა;
- სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა;
- პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარება;
- სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.[48]

[47] სსსკ, მუხლი 203.
[48] სსკ, მუხლი 199 (2).

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ, აღკვეთის ღონისძიების სახესთან ერთად, **64 (34%)**[49] ბრალდებულს დააკისრა დამატებითი ვალდებულება, **40 (62%)** პირის მიმართ გამოიყენა დაზარალებულთან კომუნიკაციის და მიახლოების აკრძალვა, **21 (33%)** პირს აუკრძალა საზღვრის კვეთა, ხოლო **10-ს (15%)** განუსაზღვრა გარკვეული პერიოდულობით საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების ვალდებულება. დამატებითი ვალდებულებების გამოყენება შესაძლებელია ერთადაც. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ამ ზომას სასამართლო, ძირითადად, მიმართავდა ოჯახში ძალადობის, მუქარისა და სხვა ძალადობრივ დანაშაულებზე.

საკანონმდებლო დონეზე ბრალდებულს კვლავ არ აქვს შესაძლებლობა, აღკვეთის ღონისძიებისგან დამოუკიდებლად გაასაჩივროს სასამართლოს მიერ შერჩეული დამატებითი ვალდებულება. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს ვალდებულება ყველა შემთხვევაში ისე შეირჩეს, რომ ბრალდებულისთვის ის არ იყოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებულ სახეზე მძიმე.

3) სხდომები, რომლებზეც სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება

უნდა გვახსოვდეს, რომ პატიმრობა და მისი ალტერნატივა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად და მასში ჩამოთვლილი ექსკლუზიური მიზნებისთვის. თუმცა, ისინი უნდა იყოს არა თვითნებური, არამედ - გონივრული აუცილებელი და პროპორციული დამოუკიდებლად გამოკვლეულ გარემოში. თუ არ არსებობს შესაბამისი მიზნები და საფუძვლები, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის სხდომაზე გამოცხადებულ **12** ბრალდებულს არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. აქედან, **6** პირის მიმართ ბრალდების მხარე ითხოვდა გირაოს, 1-ის მიმართ კი პატიმრობის გამოყენებას. 5 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ მოუთხოვია. აქედან ერთს სხვა საქმეზე უკვე ჰქონდა პატიმრობა შეფარდებული, ერთი კი მსჯავრდებული იყო. ორ პირთან მიმართებით მხოლოდ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა ითხოვა, ხოლო ერთ შემთხვევაში, ხანდაზმული ბრალდებული ქალის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

[49] პროცენტული მაჩვენებელი დათვლილია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს, ასევე, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ჯამური (191 პირი) ოდენობიდან.

II. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება

სასამართლო კვლავ არ არის დაინტერესებული, საჯარო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოიკვლიოს დაკავების კანონიერების საკითხი. გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4%-ით შემცირდა სასამართლოში პირთა დაკავებულის სახით წარდგენა.

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად მიიჩნევა მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.[50] დაკავების საფუძვლებია: დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.[51] იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემების პროპორციულია, მისი დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვა. საია, სასამართლოს სხდომებზე დაკვირვების საფუძველზე, წლებია, საუბრობს დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვის მნიშვნელობაზე, მაშინაც კი, თუ ის სასამართლოს ნებართვით განხორციელდა. **მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავების კანონიერად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების მექანიზმს.** ეს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველი წარდგენის საჯარო სხდომაზე მოსამართლის მიერ დაკავების კანონიერების განხილვას. მოსამართლეთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საჯარო სხდომაზე არ განიხილავენ, ისინი მაინც აფასებენ, რამდენად კანონიერად და შესაბამისი საფუძვლებით განხორციელდა დაკავება და ამას ასახავენ განჩინებებში. თუმცა, საყურადღებოა, რომ განჩინებებში არ ჩანს, რატომ მიიჩნია სასამართლომ დაკავება კანონიერად, რა გარემოებებს დაეყრდნო, ან, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რამდენად არსებობდა ამის აუცილებლობა.[52]

ზოგჯერ ბრალდებული სხდომაზე ადვოკატის გარეშეა[53] და, პროცედურების არცოდნის გამო, მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარ დაკავებაზე თავადვე ისაუბროს. ყველა პირს აქვს უფლება, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მისი დაკავების შესახებ

[50] სსსკ, მუხლი 170.
[51] სსსკ, მუხლი 171.
[52] საიას სისხლის სამართლის პროცესების ოთხწლიანი მონიტორინგის შედეგები - ტენდენციები და არსებული გამოწვევები, 2021, 35. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bfhCH , [ბოლო ნახვა: 25.10.2022].
[53] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში 63 დაკავებულს არ ჰყავდა ადვოკატი.

მსჯელობაში. ამ უფლების რეალიზებისთვის კი, სასამართლო, ყველა შემთხვევაში, საჯაროდ უნდა განიხილავდეს და აფასებდეს დაკავების კანონიერებას და არ ეყრდნობოდეს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. საიას მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 177 (56%) სხდომას,[54] სადაც 183 (59%) ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით. სასამართლომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, იმსჯელა დაკავების კანონიერების საკითხზე.

დიაგრამა №8: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ პირველი წარდგენის სხდომებზე დაკავებულის სახით გამოცხადებულ პირთა ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი (2016 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*[55]



წინა ერთწლიან საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4%-ითაა შემცირებული პირველი წარდგენის სხდომებზე დაკავებულის სახით წარდგენილ პირთა მაჩვენებელი.[56]

[54] მონაცემი დათვლილია სასამართლოს წინაშე 287 სხდომაზე წარდგენილი 311 ბრალდებულის საფუძველზე.

[55] 2016 წლის მარტიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში 290 ბრალდებულიდან სასამართლოში 140 (48%) **წარდგა დაკავებულის სტატუსით;** მომდევნო საანგარიშო პერიოდში - 402 ბრალდებულიდან 218 (54%); შემდგომ საანგარიშო პერიოდში - 668-იდან 452 (68%); 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში - 686 ბრალდებულიდან 518 (76%). 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში - 256 სხდომაზე 299 (64%) ბრალდებული, 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით - 268 სხდომაზე 353 (63%) ბრალდებული, 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში კი (9 თვე) - 177 სხდომაზე 183 (58%) პირი.

[56] წინა საანგარიშო პერიოდში 268 სხდომაზე 353 (63%) ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, გვ. 10.

III. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ პირველი წარდგენის სხდომათა მხოლოდ 75%-ის შემთხვევაში ჰკითხა ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

2019 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა 191[1]-ე მუხლი, რომელიც მიზნად ისახავდა წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შესაძლო ფაქტებთან მიმართებით სასამართლოს უფრო ეფექტიან რეაგირებას.[57] ამ მუხლის ამოქმედებამდე, ასეთი ფაქტების შემთხვევაში, სასამართლო პროკურორს მოუწოდებდა რეაგირებისკენ, რომელიც, იმავდროულად, გამომძიებელთან ერთად, ბრალდების მხარეა. ახლა კი სასამართლოს უკვე თავად შეუძლია, გადადგას ქმედითი ნაბიჯი და რეაგირებისთვის ინსტიტუციურად პოლიციისა და პროკურატურისგან დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს მიმართოს. 2022 წლიდან წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დაექვემდებარა.[58] 2022 წლის 10 თვის მონაცემებით, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით[59] 2017 შეტყობინება შევიდა. აქედან **77-ის (3%)** ინიციატორი სასამართლო იყო.[60]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ პირველი წარდგენის სხდომაზე 235 (75%) ბრალდებულს[61] ჰკითხა, ჰქონდა თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. აქედან 4-მა ბრალდებულმა ისაუბრა სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებზე. ქვემოთ იხილეთ შესაბამისი მაგალითები.

საქმე №1: ბრალდებულმა აღნიშნა, რომ პოლიციელებმა მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ემუქრებოდნენ. ამასთან დაკავშირებით პროკურორს ინფორმაცია არ ჰქონია. მოსამართლემ სხდომაზე განაცხადა, რომ ეს შემთხვევა გადაეცემოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვინაიდან, შესაძლოა, იკვეთებოდეს უფლებამოსილების გადამეტება და ამას შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყოლოდა.

ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია საჩივრის ავტორის პრეტენზიები და მზად იყო ზომების მისაღებად, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, მან მაინც არასწორად განსაზღვრა ადრესატი ორგანო - მიმართა

[57] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 191[1].
[58] საქართველოს კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ, მუხლი 2(19).
[59] იგულისხმება დანაშაულები, რომლებსაც ითვალისწინებს ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტები.
[60] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის ანგარიში, გვ. 118, 121. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/mDHMP [01.10.2023]. [ბოლო ნახვა: 25.10.2022].
[61] მოსამართლეს სასამართლოში უშუალოდ წარმოდგენილი 311 ბრალდებულისთვის ჰქონდა ამ კითხვის დასმის შესაძლებლობა.

შსს-ს და არა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[62] როგორც ზემოთ აღინიშნა, 2019 წლიდან, თუ არსებობს პირადი ღირსების შეურაცხყოფით პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ეჭვი, საჩივრის ადრესატი უნდა იყოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

საქმე №2: [...] მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა დაზიანების შესახებ, რომელიც მას შუბლზე ჰქონდა. ბრალდებულმა უპასუხა, რომ პოლიციელმა ორჯერ ჩაარტყა ჭიქა შუბლის არეში, რა დროსაც მიიღო დაზიანება. ამავე სხდომაზე მისმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მივიდნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები, რომლებსაც არ აუხსნიათ, ვინ იყვნენ, რამაც კონფლიქტი გამოიწვია. ბრალდებული გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას სცემეს, აწამეს, რასთან დაკავშირებითაც მათ უკვე მიმართული ჰქონდათ სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის. მოსამართლემ განაცხადა, რომ ბრალდებულის საჩივარი ოქმში აისახა და გამოძიების მიზნით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

სხდომების მონიტორინგის დროს გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია. პირები, რომლებსაც ბრალი ედებოდათ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობაში, მუქარასა ან ძალადობაში,[63] საუბრობდნენ არაერთ შემთხვევაზე, როდესაც პოლიციელებს ეცვათ სამოქალაქო ტანსაცმელი, შესაბამისად, არ იყო იდენტიფიცირებადი, ვინ მოუწოდებდა მათ ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისკენ. ასევე, ბრალდებულები მიუთითებდნენ შემთხვევებზე, როდესაც პოლიციელები არ განუმარტავდნენ დაკავების საფუძველს, რაც იწვევდა მათ გაღიზიანებას, კონკრეტული მოწოდების დაუმორჩილებლობასა და წინააღმდეგობას.

მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, თუ დაკავების დროს პოლიციელი არ არის იდენტიფიცირებადი, მნიშვნელოვანია, ბრალდებულს დაკავებამდე, ან, თუ ეს ვერ ხერხდება, დაკავების შემდეგ, წარუდგინოს საკუთარი თავი და აჩვენოს სამსახურებრივი მოწმობა, ასევე, გააცნოს დაკავების საფუძველი და განუმარტოს უფლებები.

საქმე №3: ერთ-ერთ საქმეში ბრალდებული იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე. თარჯიმანი ვერ უზრუნველყოფდა სათანადო თარგმანს. კერძოდ, მოსამართლის კითხვაზე, მისი დაკავების დროს გამოვლინდა თუ არა რაიმე დარღვევა, თარჯიმანმა თარგმნა, რომ დარღვევა არ ყოფილა. მოსამართლემ მას მოუწოდა, სწორად ეთარგმნა, რაზეც თარჯიმანმა ბოდიში მოიხადა და განმარტა, რომ რაღაც აერია და არასწორად თარგმნა. საჩივართან დაკავშირებულ კითხვაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ჰქონდა საჩივარი. მისი თქმით, პოლიციელმა მას ხელი დაარტყა გულმკერდის არეში. პროკურორმა განმარტა, რომ ბრალდებული არ გულისხმობდა დარტყმას, მან გამოიყენა სიტყვა „push", რაც, მისი თქმით,

[62] საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება - სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4638682?publication=0 [09.10.2023].
[63] სსკ-ის 353-ე მუხლი.

დარტყმა არ იყო. ადვოკატმა სხდომის მიმდინარეობისას ასევე დაიწყო ახსნა, უბრალოდ ხელი მოჰკიდეს პოლიციელებმა ბრალდებულს თუ დაარტყეს. მოსამართლემ განმარტა, რომ სხდომის ოქმში დაფიქსირებული იყო საჩივარი, რომელიც გაიგზავნებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში და დაიწყებოდა შესაბამისი გამოძიება.

მე-3 საქმე კიდევ ერთხელ ცხადყოფს, ბრალდებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე პირების კვალიფიკაცია. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულს, უბრალოდ, გაუმართლა, რადგან მოსამართლემ იცოდა ენა, რომელზეც ის საუბრობდა და შეძლო არასწორი თარგმანის იდენტიფიცირება. საქმეში ბრალდებულის ინტერესებს იცავდა საზოგადოებრივი ადვოკატი. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ადვოკატს სხდომის მიმდინარეობამდე არ ჰქონდა გამორკვეული ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიც ბრალდებულზე პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ძალადობაა. პროცესზე დაკვირვება აჩენდა ვარაუდს, რომ არც პროკურორი და არც ბრალდებულის ადვოკატი არ იყვნენ დაინტერესებულნი, ბრალდებულს წარედგინა საჩივარი.

IV. წინასასამართლო სხდომა

გამოვლინდა წინასასამართლო სხდომები, რომლებზეც მხარეებმა არ წაიკითხეს მტკიცებულებათა ნუსხა. ამასთანავე, კვლავ პრობლემაა წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის ფორმალური ხასიათი.

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. თუ პირველი წარდგენის სხდომის შემდეგ ბრალდება შეიცვალა, ის ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და იმ ეტაპისთვის წარდგენილი ბრალით გათვალისწინებული სასჯელის ზომას.[64] თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ალბათობის მაღალი ხარისხით, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა, საქმეს გადასცემს არსებითად განსახილველად და ნიშნავს სხდომის თარიღს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.[65]

წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების შეფასებას ემყარება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ამის გათვალისწინებით, საიას მონიტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების განხილვას და მათზე მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საიას მონიტორები დაესწრნენ 76 წინასასამართლო სხდომას, სადაც ბრალდებულის სახით წარდგა 81 პირი.[66] ბრალდების მხარემ 70 (92%) სხდომაზე მიმართა სასამართლოს მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობით. დანარჩენ 6 (8%) სხდომაზე საიას მონიტორები უშუალოდ ამ ეტაპს არ დასწრებიან, რადგან სხდომა გადაიდო ან გაგრძელდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წინა წლებში, ბრალდების მხარემ მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც ყველა სხდომაზე წარმოადგინა მტკიცებულებები. 24 (32%) შემთხვევაში დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ბრალდების მტკიცებულებები, 52 (68%) შემთხვევაში მოითხოვა არსებითი განხილვის სხდომაზე მათი გამოკვლევა, 3 (4%) სხდომაზე იშუამდგომლა დაუშვებლად ცნობა. ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებით წარდგენილი შუამდგომლობა სასამართლომ 70-იდან 66 (94%) სხდომაზე სრულად დააკმაყოფილა, ხოლო 1-ზე (1%) - ნაწილობრივ.[67]

76 სხდომიდან დაცვის მხარემ 14 (18%) შემთხვევაში ითხოვა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა. წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის მაჩვენებელი შეადგენდა 96-ს (27%).[68] ბრალდების მხარემ 5 შემთხვევაში უდავოდ მიიჩნია დაცვის მხარის შუამდგომლობები, ხოლო 2 შემთხვევაში

[64] სსსკ, მუხლი 219.
[65] სსსკ, მუხლი 219 (6).
[66] მონაცემები ქალაქების მიხედვით: თბილისი - 17 სხდომა, 19 პირი; ქუთაისი - 42 სხდომა, 45 პირი; ბათუმი - 17 სხდომა, 17 ბრალდებული.
[67] 3 სხდომა გადაიდო.
[68] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში, 2022, 34.

მოითხოვა მათი დაუშვებლობა. სასამართლომ 3 სხდომაზე დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად ცნო წარმოდგენილი მტკიცებულებები.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ წინასასამართლო სხდომებზე მოსამართლეები საჯაროდ არ განიხილავენ მტკიცებულებების ნუსხას. მონიტორინგმა გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებულმა პროკურორის მიერ ამ ნუსხის კითხვის პროცესში გაიგო მის მიმართ წარდგენილი მტკიცებულების შესახებ. მართალია, მტკიცებულებების გაცვლა ხდება კანონით დადგენილ ვადაში და დაცვის მხარეს მიეწოდება ინფორმაცია, რა მტკიცებულებების წარმოდგენას აპირებს სასამართლოში ბრალდების მხარე, მაგრამ ბრალდებულს ყოველთვის არ ჰყავს ადვოკატი და, შესაძლოა, ამ ჩამონათვალს ვერ გაეცნოს. ამასთანავე, მტკიცებულებათა ღია სხდომაზე განხილვა საჯაროობის ერთ-ერთი მახასიათებელია. აქედან გამომდინარე, რამდენიმე მოსამართლის მიდგომა, აირჩიოს მოკლე გზა და ნაჩქარევად გაიაროს ეს ნუსხა, არღვევს როგორც ბრალდებულთა უფლებებს, ჰქონდეთ ინფორმაცია მათ წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების შესახებ, ასევე საზოგადოების უფლებას, იყოს ინფორმირებული.

1. წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით იმსჯელოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ ამის თაობაზე შუამდგომლობა.[69]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ 18 (24%) წინასასამართლო სხდომას, რომლებზეც 18 (22%) ბრალდებულისთვის შეფარდებული პატიმრობა გადაისინჯა. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ამჯერადაც სასამართლომ 5 პირთან მიმართებით პატიმრობა შეცვალა გირაოთი. ერთ შემთხვევაში ბრალდებული ითხოვდა პირადი თავდებობის გამოყენებას, თუმცა თავდები არ ჰყავდა წარმოდგენილი.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობა პატიმრობის გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა.[70] სასამართლომ ასევე უნდა მოიყვანოს შესაბამისი რელევანტური მტკიცებულებები, რომლებიც კვლავაც ამართლებს თავისუფლების აღკვეთას, ამასთანავე, უნდა გამოიჩინოს გულისხმიერება და განსაკუთრებული მონდომებით მიუდგეს საქმის წარმოებას.[71]

საია განაგრძობდა იმგვარ შემთხვევებზე დაკვირვებას, როდესაც ბრალდების მხარემ არ დაასაბუთა პატიმრობის გაგრძელების მიზეზები.

[69] სსსკ, მუხლი 219,4,ბ.
[70] ECtHR, Merabishvili v. Georgia [GC], 2017, § 234.
[71] ECtHR, Bykov v. Russia [GC], 2009, § 64.

საქმე №1: ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის დროს პროკურორი განმარტავდა, რომ ის ძალაში უნდა დარჩენილიყო, რადგან ბრალდებული წარსულში არაერთხელ იყო ნასამართლევი ქურდობისთვის. მას დანაშაულებრივი ქმედება პირობითი მსჯავრის ქვეშ ჰქონდა ჩადენილი და ბრალი ედებოდა ამ ქმედების არაერთ ეპიზოდში. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაღალი იყო ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი. ასევე, მკაცრი სასჯელის შიშით, არსებობდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხე. პირი, რომლის მიმართაც ბრალდებულმა სავარაუდოდ ძალადობრივი ქმედება განახორციელა, მისი უახლოესი მეგობარი იყო. შესაბამისად, პროკურორის განმარტებით, სასურველი ჩვენების ფორმირების მიზნით, ბრალდებული მასზე ზეგავლენას მოახდენდა. სასამართლომ შეცვალა პატიმრობის უზრუნველყოფა და ბრალდებულის მიმართ დატოვა მხოლოდ 3000 ლარის ოდენობით გირაოს გადახდის ვალდებულება.

საყურადღებოა, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით და მხოლოდ იმიტომ არ იყო თავისუფალი, რომ გირაოს გადახდა ვერ შეძლო. ეს მაგალითი იმის ნათელი ილუსტრაციაა, როგორ შეიძლება პირი დაუსაბუთებელ პატიმრობაში დატოვოს მის ქონებრივ მდგომარეობასთან შეუსაბამო გირაოს თანხის ოდენობამ. ამასთანავე, პროკურორის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი დასაბუთება შეეხებოდა პატიმრობით აღსაკვეთ საფრთხეებს, მაშინ, როცა ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო.

საია, წლებია, საქართველოს პროკურატურას მოუწოდებს, შეაფასოს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეები და, თუ აღარ არსებობს პატიმრობაში მისი დარჩენის აუცილებლობა, იყოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ინიციატორი.

V. საპროცესო შეთანხმება

სუსტია სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით. სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში ამტკიცებს პროკურატურის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე. საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს, ამ პირობებთან ერთად, შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობასა ან/და ზიანის ანაზღაურებაზე.[72]

საია აკვირდება საპროცესო შეთანხმების სხდომებს და აფასებს წლიდან წლამდე ამ მიმართულებით არსებულ ტენდენციებს. საპროცესო შეთანხმება არის სწრაფი მართლმსაჯულების გამოხატულება, რაც ხელს უწყობს პროცესის ეკონომიურობას, ზოგავს ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების რესურსს. თუმცა, იმავდროულად, მნიშვნელოვანია, საფრთხე არ შეექმნას ეფექტიან მართლმსაჯულებას, რისთვისაც არსებობს სასამართლო კონტროლის მექანიზმი. მოსამართლე ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე გამოარკვიოს სსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული არაერთი საკითხი და დარწმუნდეს, რომ: საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე; საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს; ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს; ჰქონდა მას კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა; აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება, ასევე, იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს და სხვა.

ოფიციალური სტატისტიკით, სისხლის სამართლის საქმეთა დიდი ნაწილი საპროცესო შეთანხმებით სრულდება. 2022 წელს, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა ეს მაჩვენებელი და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების რაოდენობამ 68% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2020 წელს იყო 63%, ხოლო 2021 წელს - 64%.[73] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიამ მონიტორინგი გაუწია **217** საპროცესო შეთანხმების სხდომას **248 პირის** მიმართ. წინა წლების მსგავსად, ვითარება არ შეცვლილა. სასამართლო, ფაქტობრივად, ყველა შემთხვევაში ამტკიცებს მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების თაობაზე პროკურატურის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას. გამოვლინდა მხოლოდ 2 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. ერთ შემთხვევაში მან მიიჩნია, რომ საქმეში არ იყო საკმარისი მტკიცებულებები, ხოლო მეორე შემ-

[72] სსსკ, მუხლი 209 (1,2).

[73] საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები (2022 წელი), ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gzCTV [ბოლო ნახვა: 25.10.2022].

თხვევაში ბრალდებული დანაშაულად არ მიიჩნევდა მის მიერ ჩადენილ ქმედებას, შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა აღიარების ნაწილში მისი პოზიცია.

აღსანიშნავია, რომ წინა წელს საიამ გამოავლინა ძველი, მავნე პრაქტიკის - ჯარიმის წინასწარ გადახდის - 1 შემთხვევა. სამწუხაროა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უკვე ორი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა. ეს მიუთითებს, მხარეთა აღქმით, სასამართლოს უმნიშვნელო როლზე საპროცესო შეთანხმების პროცესში და მოლოდინს, რომ ის აუცილებლად დამტკიცდება, მთავარია, პროკურატურასთან იყოს შეთანხმება მიღწეული.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითები:

საქმე №1: ორ პირს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც მომხმარებლის მოტყუებას გულისხმობს. ერთ მათგანს განესაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის, ხოლო მეორეს - 15 000 ლარის ოდენობით. პროცესის დაწყებამდე, სანამ მოსამართლე სხდომის დარბაზში შემოვიდოდა, ადვოკატმა პროკურორს უთხრა, რომ ერთმა ბრალდებულმა ჯარიმა უკვე გადაიხადა და მეორეც რომ გადაიხდიდა, ქვითრებს ერთიანად მიაწოდებდა.

საქმე №2: კიდევ ერთ შემთხვევაში პირს ბრალად ედებოდა ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენება (სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სხდომის დაწყებამდე, სანამ მოსამართლე დარბაზში შემოვიდოდა, ადვოკატმა ბრალდებულს ჰკითხა, გადაიხადა თუ არა თანხა, რაზეც პროკურორმა უპასუხა, რომ უკვე გადახდილი იყო. ეს მიუთითებს, რომ ჯარიმა ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე გადაიხადა.

საპროცესო შეთანხმება ყველაზე ხშირად პირველი წარდგენის სხდომაზე იდება. საიას მიერ მონიტორინგს დაქვემდებარებული 215 საპროცესო შეთანხმებიდან 177 (82%) პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა. შედარებით იშვიათად მტკიცდება საპროცესო შეთანხმება წინასასამართლო [18 (8%) შემთხვევა] და არსებითი განხილვის სხდომებზე [17 (8%) შემთხვევა].

დიაგრამა №9: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ ინფორმაცია გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების შესახებ, პროცესის ეტაპების მიხედვით (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



რაც შეეხება მონაცემებს დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება **ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებზე დამტკიცდა - 132 (61%) შემთხვევაში, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 82 (38%) შემთხვევაში.** წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 5%-ითაა შემცირებული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი.[74] საიას მიერ დაკვირვებული სხდომებიდან **ამ ტიპის საქმეებზე საპროცესო შეთანხმება მხოლოდ 3 (1%) შემთხვევაში დამტკიცდა** და სამივე **ნარკოტიკულ დანაშაულს** უკავშირდებოდა.[75]

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაითავისოს და ყურადღება მიაქციოს ამ მხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ 2022 წლის 13 სექტემბერს მიღებულ დასკვნით დაკვირვებებში ცალსახად არის ხაზგასმული, რომ კომიტეტი განმეორებით მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს შესაბამისი ზომები სწორედ ნარკოპოლიტიკისა და საპროცესო გარიგებების ჭრილში. კონკრეტულად:

(ა) უზრუნველყოს და დაიცვას ბრალდებულები ადეკვატური სამართლებრივი გარანტიებით საპროცესო შეთანხმებების დროს, მათ შორის, საპროცესო გარიგების იძულებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან;

---

[74] წინა საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი 6%-ს შეადგენდა.

[75] **ერთ შემთხვევაში** პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; **მეორე შემთხვევაში** ბრალდება წარდგენილი იყო სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; **მესამე შემთხვევაში** კი პირი ბრალდებული იყო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

(ბ) გაზარდოს საპროცესო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების გამჭვირვალობა, გააძლიეროს მოსამართლისა და დაცვის მხარის როლი ამ პროცესში.[76]

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ 246 პირის მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებიდან ყველაზე ხშირად ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ [53 (22%)] და ნარკოტიკულ დანაშაულებზე [48 (20%)] დაიდო. ამ მხრივ, აქტუალურია მმართველობის წესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებიც [32 (13%)]. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან დაკავშირებით ამ საანგარიშო პერიოდში 26 (11%) შეთანხმება გაფორმდა. ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, არ გამოვლენილა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მისი დამტკიცების შემთხვევა. გაფორმებული საპროცესო შეთანხმებები ეხებოდა ასევე შემდეგ საკითხებს: საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - 16 (7%), სამეწარმეო სფერო - 12 (5%), საფინანსო საქმიანობა - 10 (4%).

დიაგრამა №10: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ დანაშაულები, რომლებზეც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



1. უფლებების განმარტება

სასამართლო ბრალდებულ პირებს ყველა შემთხვევაში არ განუმარტავს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს.

საპროცესო შეთანხმების სხდომაზე მოსამართლემ ბრალდებულს უნდა განუმარტოს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებები და გარანტიები ასევე, უნდა გამოარკვიოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, მაგალითად, არის თუ არა საპროცესო შეთანხმება

[76] HumanRightsCommittee, Concludingobservationsonthefifthperiodicreportof Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 13.09.2022, para. 32.

დადებული ნებაყოფლობით და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს თუ არა ბრალს, სრულად აცნობიერებს თუ არა ის საპროცესო შეთანხმების სამართლებრივ შედეგებს, ჰქონდა თუ არა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა და სხვა.

საპროცესო შეთანხმების სხდომებზე ბრალდებულთათვის უფლებების განმარტების კუთხით სიტუაცია **მცირედით გაუმჯობესებულია.** მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბრალდებულებს უფლებები სრულყოფილად 165 (76%) შემთხვევაში განემარტათ, დანარჩენ (24%) შემთხვევებში კი განმარტება არ იყო ნათელი და ჯეროვანი. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 11%-ით გაუმჯობესდა.

რაც შეეხება უშუალოდ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ უფლებებს, მოსამართლემ ბრალდებულს 27 (11%) შემთხვევაში არ აუხსნა, რომ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით მის მიერ საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. ასევე, 25 (10%) შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულისთვის არ განუმარტავს, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელი იყო მომავალში მის წინააღმდეგ ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება, რომელსაც იგი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიაწოდებდა. მოსამართლეს ბრალდებულისთვის 20 (8%) შემთხვევაში არ უკითხავს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ხომ არ დაექვემდებარა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას.

2. საპროცესო შეთანხმების განხილვის დრო

ხშირად საპროცესო შეთანხმების სხდომები მცირე დროში სრულდება, ისე, რომ პროცესზე არ მჟღავნდება საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლო მხოლოდ პროკურატურის შუამდგომლობის სარეზოლუციო ნაწილის მოსმენით შემოიფარგლება.

საპროცესო შეთანხმების განხილვას სასამართლო, უმეტესად, დროს სათანადოდ არ უთმობს. არსებული პრაქტიკით, საჯარო სხდომაზე ხდება შუამდგომლობის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვა. საქმის გარემოებებზე სასამართლო არ მსჯელობს, რაც პროცესს შინაარსს აცლის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 61 (28%) სხდომაზე პროკურორის შუამდგომლობის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდა. ბრალდების მხარემ წაიკითხა საპროცესო შეთანხმების პირობები და საქმის გარემოებებზე არ უსაუბრია. **მოცემულ საანგარიშო პერიოდში სხდომების 50% (108 სხდომა) 15 წუთამდე დროში დასრულდა, რაც კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ეს დრო საკმარისი არ არის გარემოების სრულყოფილი გამოკვლევისთვის.**

დიაგრამა №11: *დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმების განხილვის დრო (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



3. საპროცესო შეთანხმებისას გამოყენებული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა

მოსამართლეები, როგორც წესი, საჯაროდ არ მსჯელობენ სხდომებზე სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე.

მოსამართლე საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, უპირობოდ გაიზიაროს და დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება.[77] მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა/კანონიერება და თავიდან აირიდოს ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, ამ მხრივ, ვითარება არ გაუმჯობესებულა. სხდომაზე მოსამართლემ მხოლოდ 5 საქმეზე (2%) აღნიშნა, რამდენად სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა საპროცესო შეთანხმებით მიღწეული სასჯელი.

[77] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 212 (5).

იხ. საილუსტრაციო მაგალითები:

საქმე №1: პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 261-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვა). მოსამართლემ განმარტა, რომ ბრალდებულს საპროცესო შეთანხმებით იმაზე მსუბუქი სასჯელი ეფარდებოდა, ვიდრე ეს კანონმდებლობითაა განსაზღვრული. მისივე თქმით, საპროცესო შეთანხმების გარეშე სასჯელი იქნებოდა ბევრად მკაცრი, ვინაიდან მოსამართლე ვერ დაუნიშნავდა ჯარიმას.

საქმე №2: კიდევ ერთ საქმეში პირს ბრალი ედებოდა ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 204[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდება უალტერნატივოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, საპროცესო შეთანხმებით კი პირს სასჯელად 3000-ლარიანი ჯარიმა შეეფარდა. მისივე თქმით, ეს ამ შემთხვევაში გამართლებულად მიაჩნდა, თუმცა თვითონ ამგვარი სასჯელის დანიშვნას ვერ შეძლებდა.

4. საპროცესო შეთანხმების შედეგად დაკისრებული სასჯელები

საპროცესო შეთანხმების შედეგად დაკისრებულ სასჯელებს შორის ყველაზე ხშირად ჯარიმა გამოიყენება. ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, მზარდია ჯარიმის თანხის საშუალო ოდენობაც.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელებიდან ყველაზე მეტად **ჯარიმა** - 35% (86 შემთხვევა), **პირობითი მსჯავრი და ჯარიმა** ერთად - 25% (61 შემთხვევა) ან **პირობითი მსჯავრი** - 24% (59 შემთხვევა) გამოიყენება. საგულისხმოა, რომ, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 6%-ით შემცირებულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდების მაჩვენებელი და მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 4% (10 შემთხვევა) შეადგინა.[78]

[78] წინა პერიოდში ანალოგიური მონაცემი 10% იყო.

დიაგრამა №12: *დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



მიმდინარე წელს კიდევ უფრო გაიზარდა ჯარიმის საშუალო ოდენობა და 4746 ლარი შეადგინა, მაშინ, როცა წინა საანგარიშო პერიოდში 3451 ლარი იყო. სასამართლოს მონიტორინგი აჩვენებს, რომ ეს ციფრი, ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, მზარდია. ეს საყურადღებო ფაქტია იმ კონტექსტში, რომ არ დავუბრუნდეთ ტენდენციას, როდესაც მაღალი ჯარიმები ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო (იხ. მაგალითად, 2012 წლის მონიტორინგის შედეგები[79]), რაც, მეორე მხრივ, ცალსახად უთანასწორო მდგომარეობას უქმნის იმ ბრალდებულებს, რომლებსაც ნაკლები ფინანსური სახსრები გააჩნიათ.

[79] საიას 2012 წლის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშის (ივლისი-დეკემბერი) მიხედვით, საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის საშუალო ოდენობა 9115 ლარს შეადგენდა.

დიაგრამა №13: *დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის საშუალო ოდენობა (2012 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



როგორც დაკვირვება აჩვენებს, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც, საპროცესო შეთანხმების შედეგად, სასჯელად ჯარიმა შეეფარდათ. შეინიშნება მხოლოდ 1%-იანი მატება და მიმდინარე წელს ამ მაჩვენებელმა 61% შეადგინა.

დიაგრამა №14: *დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების პროცენტული ოდენობა (2012 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



მიმდინარე წელს საგრძნობლად შემცირებულია იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებითაც ბრალდებულებს სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაეკისრათ. ამ საანგარიშო პერიოდში ეს მონაცემი 7%-ით განისაზღვრა, რაც, წინა პერიოდთან შედარებით, 9%-ით ნაკლებია.

დიაგრამა №15: *დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის პროცენტული მაჩვენებელი (2012 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



VI. არსებითი განხილვა

1. სხდომის გადადება/გაჭიანურება

ხშირია სასამართლო სხდომების გადადების შემთხვევები, რაც პროცესების გაჭიანურების საფუძველია.

გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება გარანტირებულია ადგილობრივი[80] და საერთაშორისო ინსტრუმენტებით.[81] სასამართლომ საქმე ზედმეტი გაჭიანურების გარეშე, გონივრულ დროში უნდა განიხილოს და, როდესაც საპროცესო ვადები კანონმდებლობითაა განსაზღვრული, ისინი არ დაარღვიოს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყველა დაკავებულს ან დაპატიმრებულს უნდა ჰქონდეს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში განხილვისა ან გათავისუფლების უფლება. სხვადასხვა საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინაც კი, როდესაც „შესაბამისი და საკმარისი" საფუძველი ამართლებს პატიმრობას მთელი წინასაგამოძიებო პერიოდის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 (3) მუხლი შეიძლება მაინც დაირღვეს, თუ ბრალდებულის პატიმრობა გაგრძელდება გონივრულ ვადაზე დიდხანს, რადგან საქმის წარმოება არ ჩატარდა ობიექტურად. საკითხები, რომლებიც განიხილება სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში დასრულების შესაფასებლად არის საქმის სირთულე, ბრალდებულის ქცევა და ეროვნული ხელისუფლების ეფექტიანობა.[82]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიამ მონიტორინგი გაუწია 247 არსებითი განხილვის სხდომას 484 პირის მიმართ, საიდანაც 88 (36%) სხდომა გადაიდო. არსებითი განხილვის დროს სხდომათა გადადების მაჩვენებელი, წინა წლის მონაცემთან შედარებით, უმნიშვნელოდ - 3%-ითაა შემცირებული.

სხდომების გადადების მიზეზი, უმეტესად, საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებაა [22 (25%)]. ასევე, ხშირია პროკურორის მიერ მოწმეთა წარმოუდგენლობა [15 (17%)] და ბრალდების მხარის გამოუცხადებლობა [10 (11%)]. გარდა ამისა, სხდომები გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზითაც [10 (11%)].

[80] სსსკ, მუხლი 8 (2).

[81] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6 (1); სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 14 (3).

[82] Organization for Security and Co-operation in Europe Department of Human Rights and Rule of Law Legal System Monitoring Section REVIEW OF THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM (APRIL 2003-OCTOBER 2004) CRIME, DETENTION, AND PUNISHMENT, p. 30. https://shorturl.at/hoy38 , [ბოლო ნახვა: 25.10.2022].

დიაგრამა №16: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ არსებითი განხილვის სხდომების გადადების მიზეზები (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



სხვა საფუძვლით სხდომების გადადება აერთიანებს ასევე დაცვის მხარის მოწმეთა არყოფნის, დასკვნითი სიტყვისთვის მომზადებისთვის დროის მოთხოვნისა და სხვა შემთხვევებს. საყურადღებოა ექსპერტიზის დასკვნების მოლოდინის გამო სხდომების გადადება, რაც საქმის განხილვას აჭიანურებს. ამგვარი სხდომები ხშირად მონიტორინგის სტატისტიკის მიღმა რჩება, რადგან სასამართლო ავტომატურად დებს მათ დიდი ხნით, რათა შესაძლებელი იყოს დასკვნის წარმოდგენა. შესაბამისად, რეალურად, ამ მოტივით სხდომების გადადების მაჩვენებელი ბევრად მაღალია. დასკვნების დროულად წარმოუდგენლობას, სავარაუდოდ, ექსპერტიზის ბიუროსადმი გაზრდილი მიმართვიანობა, შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტთა რაოდენობის ან/და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნაკლებობა განაპირობებს.

2. საქმეთა გაჭიანურება

საქმეთა გაჭიანურება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქართული მართლმსაჯულებისთვის. საიას მონიტორინგის ისტორია ინახავს სისხლის სამართლის არაერთ საქმეს, რომლებიც სასამართლოში დღემდე განიხილება და პირველი ინსტანციის სასამართლოსაც კი არ აქვს გადაწყვეტილება გამოტანილი.

საკანონმდებლო ვადების დარღვევით, მოსამართლეები წლობით იხილავენ საქმეებს და უგულებელყოფენ დაზარალებულის სამართლიანობის აღდგენის ინტერესს. დაკავებული პირებიც, თავის მხრივ, ამ დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსის ქვეშ იმყოფებიან. მონიტორინგი აღრიცხავს ათეულობით სისხლის სამართლის საქმეს, რომელთა განხილვა, წლებია, გაურკვეველი მიზეზით ჭიანურდება.

იმავდროულად, **გაჭიანურებული სამართალწარმოების ხარისხი დაბალია,** რთულდება მოწმეების მიყვანა, მათი მეხსიერება შეიძლება გაუარესებული იყოს და არ ახსოვდეთ საქმის გარემოებები ისე დეტალურად, როგორც გამოკითხვის დროს და სხვა.

გაჭიანურებული საქმეების უმეტესობა გახმაურებული და რეზონანსული საქმეებია, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებს ან მათთან დაკავშირებულ პირებს შეეხება. საიას შეფასებით, გაჭიანურებული საქმეებია:

ე.წ. 7 ნოემბრის საქმე - ამ საქმეში სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ამ საქმეში, **მიხეილ სააკაშვილთან** ერთად, ბრალდებულები არიან **ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი** და **გიგი უგულავა.** საქმეს სასამართლო 2014 წლის აგვისტოდან განიხილავს.

ე.წ. პიჯაკების საქმე - პროკურატურის მტკიცებით, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში მიხეილ სააკაშვილის მიერ, მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირისთვის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 მილიონ 837 461 ლარი. ამ საქმეზე პროკურატურამ სააკაშვილს ბრალი 2014 წელს წარუდგინა. **მიხეილ სააკაშვილთან** ერთად, საქმეზე ბრალდებულია იმდროინდელი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი **თეიმურაზ ჯანაშია.** მასაც ბრალი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში ედება.

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმე[83] - ეს საქმე ჯერ კიდევ განიხილება პირველ ინსტანციაში, მაშინ, როდესაც ბრალის წარდგენა 2018 წელს (17 ოქტომბერს) მოხდა.

[83] ე.წ. პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე ბრალდებულია სამი პირი: **გიორგი მერებაშვილი, ლევან ქარდავა, რევაზ შიუკაშვილი.** ბრალდება - 18, 109-2-ე-3-ვ; 333-1 მუხლები. პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის 4 თებერვლის ჩანაწერში კუდის ყოფილი თანამშრომელი გიორგი დგებუაძე ბადრი პატარკაციშვილის დაცვის წევრს ესაუბრება და მის გადმობირებას ცდილობს, ხოლო მეორე, იმავე წლის 5 თებერვლით დათარიღებულ ჩანაწერში ე.წ. „მოდულის“ შენობაში გამართული თათბირია ჩაწერილი, სადაც გიორგი დგებუაძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი კუდის თანამშრომლები, ბრალდებულები ლევან ქარდავა, რევაზ შიუკაშვილი და გიორგი მერებაშვილი, „პოლიტიკური სივრციდან ჩამოშორების მიზნით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას ამზადებენ“. ისინი განიხილავდნენ პატარკაციშვილის ლიკვიდაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნას. მსჯელობდნენ მკვლელობის სხვადასხვა გზაზე, კერძოდ, მისი ისეთი ნივთიერებით მოწამვლაზე, რომელიც ბუნებრივი სიკვდილის ეფექტს გამოიწვევდა. ამავე საუბრით დგინდება, რომ ყველა საკითხი, მათ შორის, ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესაბამისი მეთოდები, თანხმდებოდა კუდის იმდროინდელ ხელმძღვანელ **დათა ახალაიასთან.**

ბუტა რობაქიძის საქმე[84] - ბრალდებულები არიან **ზურაბ ადეიშვილი** და **ირაკლი ოქრუაშვილი**. მათ ბრალი წარედგინათ 2019 წლის 19 ნოემბერს. საქმე დღემდე პირველ ინსტანციაშია განსახილველად.

კობა კოშაძის საქმე - ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრ კობა კოშაძეს ბრალი წარდგენილი აქვს იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით. ის ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იარაღი ჩაუდეს. ამ საქმის განხილვა, 2 წელზე მეტია, გაურკვეველი მიზეზით, დასკვნით ეტაპზეა შეჩერებული.

ბათუმის ციხის ყოფილი უფროსების საქმე[85] - ამ საქმის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2014 წელს დაიწყო. ის 2019 წლის 1-ელ იანვარს უნდა დასრულებულიყო, თუმცა სასამართლომ დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი ვადა და მისი დარღვევიდან 5 წლის შემდეგადაც ვერ მიიყვანა საქმე კონკრეტულ სამართლებრივ შედეგამდე (განაჩენამდე). არარელევანტურია ყოველგვარი არგუმენტი იმის გასამართლებლად, რომ პირველ ინსტანციაში საქმე შეიძლება 8-9 წლის განმავლობაში განიხილებოდეს და მასზე სასამართლომ განაჩენი ვერ გამოიტანოს, რა მიზეზებიც არ უნდა არსებობდეს (საქმის სირთულე, დასაკითხ მოწმეთა რაოდენობა, მოსამართლის შეცვლა და ა.შ.). ამ საქმეში ცალსახად იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

მიუხედავად საიას მხრიდან ამ საკითხზე წლების განმავლობაში აპელირებისა, სისტემამ დღემდე ვერ მოახერხა ეფექტიანი ბერკეტის შემუშავება გაჭიანურებული სამართალწარმოების თავიდან ასაცილებლად.

---

[84] პროკურატურის ვერსიით, ბუტა რობაქიძის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა შემდეგი: „2004 წლის 24 ნოემბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 02:00 საათზე, ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე, დიდუბის პანთეონის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორებმა გააჩერეს „BMW"-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლითა და ხუთი მგზავრით. მათი შეჩერებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გ.ბ-ს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა იღლიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი ამირან რობაქიძე, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. მომხდარი ფაქტის თაობაზე იმავე ღამით ინფორმაცია მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა **ირაკლი ოქრუაშვილმა,** რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შს სამინისტროს მაღალჩინოსნებს დავალება მისცა, გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი და აღნიშნული ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, შს სამინისტროს მაღალჩინოსნებმა გარდაცვლილ ამირან (ბუტა) რობაქიძეს და მასთან ერთად მანქანაში მსხდომ პირებს ჩაუდეს ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, რის შემდეგაც საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, გაყალბებული მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე ნაწილით და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემულნი იქნენ ავტომანქანაში მსხდომი პირები: გ.ქ, ი.მ, კ.ა, ლ.დ. და ა.ბ. ასევე, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად გამოცხადდა გარდაცვლილი ამირან (ბუტა) რობაქიძე". **ზურაბ ადეიშვილს და ირაკლი ოქრუაშვილს** პროკურატურამ ბრალი წაუყენა სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

[85] ბათუმის ციხის ყოფილ უფროსებს, N3 საპყრობილის დირექტორს და მის მოადგილეს - გიორგი ვეკუას და ზაზა ჯიქიას პროკურატურა პატიმრების წამებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში სდებს ბრალს.

3. სხდომების დაგვიანებით დაწყება

სასამართლო სათანადოდ ვერ არეგულირებს სხდომების განრიგს. შესაბამისად, თითქმის ყოველი მესამე სასამართლო სხდომა დაგვიანებით იწყება.

არსებითი განხილვის 247 სხდომიდან 92 (37%) დაგვიანებით[86] დაიწყო. მიზეზი, როგორც წესი, უმეტესად მოსამართლის [32 (35%)] და ადვოკატის [22 (24%)] დაგვიანებაა. მიზეზებს შორისაა ასევე პროკურორის დაგვიანება [9 (10%)], პენიტენციური სამსახურის მხრიდან ბრალდების დროულად წარმოუდგენლობა [5 (5%)], იმავე სხდომის დარბაზში სხვა პროცესის გაგრძელება [7 (8%)], ბრალდებულის დაგვიანება [1 (1%)] და სხვა[87] ფაქტორები [16 (17%)].

არ გამოვლენილა არც ერთი შემთხვევა, რომ მოსამართლეს მხარეები პროცესზე გამოუცხადებლობის (დაგვიანების) გამო დაეჯარიმებინოს.

***დიაგრამა №17**: ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ არსებითი განხილვის სხდომების დაგვიანების მიზეზები (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



[86] დაგვიანებაში იგულისხმება სხდომის 10 წუთით და მეტი დროით გვიან დაწყება.

[87] „სხვა“ შემთხვევაში იგულისხმება დარბაზის არქონა, პროცესის რამდენიმე მონაწილის ერთდროულად დაგვიანება ან/და ისეთი შემთხვევები, როდესაც საიას მონიტორისთვის უცნობი დარჩა, რა მიზეზით დაგვიანდა სხდომის დაწყება.

4. არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენები

გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 17%-ს შეადგენს, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 2 პროცენტული ერთეულით შემცირებული მონაცემია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიამ მონიტორინგი გაუწია არსებითი განხილვის 247 სხდომას 484 პირის მიმართ. განაჩენი გამოვიდა 30 საქმეზე (12%). აქედან, 5 (17%) მათგანზე გამოტანილი განაჩენი იყო სრულად გამამართლებელი, 24 (80%) - გამამტყუნებელი. 1 შემთხვევაში ქმედება გადაკვალიფიცირდა. ***გამამართლებელი 5 განაჩენიდან 3 საქმე ოჯახურ დანაშაულს უკავშირდებოდა და სამივე შემთხვევაში მისი წინაპირობა დაზარალებულის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იყო.***

იხილეთ გამამართლებელი განაჩენების მაგალითები:

საქმე №1: საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებული მეუღლეს დაემუქრა, რომ ყელს გამოსჭრიდა. მის მიმართ წარდგენილი იყო ბრალდება სსკ-ის მე-11[1], 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც ოჯახის წევრის მიმართ მუქარას გულისხმობს. ბრალდების მხარეს სხდომაზე მოყვანილი ჰყავდა ერთი მოწმე (დაზარალებული), რომელმაც გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და უარი თქვა ჩვენების მიცემაზე. ყველა სხვა მტკიცებულება დაცვის მხარემ უდავოდ ცნო. ბრალდების მხარემ თავის დასკვნით სიტყვაში განმარტა, რომ ბრალდებული მეუღლეს ყელის გამოჭრით დაემუქრა. მართალია, დაზარალებულმა შემდგომ უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, თუმცა გამოკითხვის ოქმში ის ითხოვს ბრალდებულის მკაცრად დასჯას და ამბობს, რომ ეშინია. პროკურორმა მოითხოვა სამართლიანი სასჯელის დანიშვნა. დაცვის მხარემ თავის დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ საქმეში არათუ პირდაპირი, არამედ ირიბი მტკიცებულებაც არ მოიპოვებოდა. **მოსამართლემ ადგილზე თათბირით დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.**

საქმე №2: კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი სასამართლომ ნარკოტიკული დანაშაულის საქმეზე გამოიტანა. პირს ბრალად ედებოდა 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაულის ჩადენა. მოსამართლის განმარტებით, *„ნარკოტიკულ დანაშაულებზე ძირითადი მტკიცებულებაა ჩხრეკის ოქმი, ჩხრეკის შედეგები, ამოღებული ნივთიერება, ბრალდებულთან ნივთიერების კავშირი. ამ საქმეში არის ჩხრეკის ოქმი, რომ ამოიღეს ჰეროინი, ასევე არის ექსპერტიზის დასკვნა, რომ მასზე ბრალდებულის ბიოლოგიური მასალაა, თუმცა უნდა შემოწმდეს ჩხრეკის კანონიერება, არსებითად ხომ არ დაირღვა რაიმე, ასევე უნდა შემოწმდეს ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის ვალდებულება [...].“* მოსამართლემ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, მიიჩნია, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი ნეიტრალური მტკიცებულება, ვიდეომტკიცებულება ან ნეიტრალური მოწმე. მხოლოდ პოლიციელების ჩვენება კი არ მიიჩნია სარწმუნოდ და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოსამართლეები აქტიურად იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ეს არაერთ გამამართლებელ განაჩენს დაედო საფუძვლად.[88]

დიაგრამა №18: *დიაგრამაზე იხილეთ გამამართლებელი განაჩენების სტატისტიკა (2016 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



34 პირის მიმართ გამოყენებული სასჯელები შემდეგნაირად გამოიყურება: თავისუფლების აღკვეთა ე.წ. რეალური სასჯელის მოხდით - 14 (41%), ჯარიმა - 7 (21%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა - 6 (18%) და პირობითი მსჯავრი - 5 (14%).

დიაგრამა №19: *ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ არსებითი განხილვის შედეგად გამოყენებული სასჯელები (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



[88] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10430 [30.09.2023].

VII. ოჯახური დანაშაულები

ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე პროკურატურას მკაცრი პოლიტიკა აქვს. წარმოდგენილ საანგარიშო პერიოდში საიას არ გამოუვლენია ამ ტიპის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების არც ერთი შემთხვევა.

თვალშისაცემია ფემიციდის სტატისტიკა. **პროკურატურის მონაცემებით,** 2014-2022 წლებში ჩადენილია 186 ქალის მკვლელობა, ოჯახური ნიშნით მოკლეს 92 ქალი, ხოლო სხვა მოტივით - 94. ამავე პერიოდში ჩადენილია 129 ქალის მკვლელობის მცდელობა, მათ შორის, ოჯახური ნიშნით - 79, ხოლო სხვა მოტივით - 50.[89] ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი რეაგირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებულ 143 სხდომას. მათ შორის, 5 საქმე შეეხებოდა ოჯახში ჩადენილ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობას. აქედან ოთხ საქმეში მსხვერპლი ქალი იყო. ამ საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა ამ ტიპის დანაშაულის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების არც ერთი შემთხვევა.

1. ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

სასამართლო ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ ყველაზე ხშირად აღკვეთის ღონისძიების სახეს - გირაოს იყენებს. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ამ ტიპის დანაშაულებზე გირაოს შეფარდების მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა.

315 პირის მიმართ ჩატარებული აღკვეთის ღონისძიების შერჩევის სხდომებიდან 81 (26%) პირის საქმე ოჯახურ დანაშაულს შეეხებოდა. სასამართლომ 30 (37%) მათგანს - პატიმრობა, 47-ს (58%) - გირაო, 1-ს (1%) კი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება შეუფარდა. 3 (4%) შემთხვევაში მოსამართლემ ოჯახში ძალადობაში ბრალდებული **აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.**

რაც შეეხება პროკურატურის მიდგომებს, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ოჯახში სავარაუდო მოძალადეების მიმართ პროკურორმა 70 (86%) შემთხვევაში იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება, 10 (12%) შემთხვევაში - გირაო და ერთ შემთხვევაში - აღკვეთის გარეშე დატოვება იმ მიზეზით, რომ ბრალდებული ასაკოვანი ქალი იყო.

[89] საქართველოს პროკურატურა, „პროკურატურა ოჯახურ დანაშაულებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც ბოლო წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის ყოველწლიური, მნიშვნელოვანი ზრდა ადასტურებს“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/JKWX5 [03.10.2023].

დიაგრამა №20: *ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულებზე სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები (2016 წლის აგვისტოდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდი).*



იხილეთ მაგალითი ოჯახში ძალადობის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენების თაობაზე.

საქმე №1: პირს ბრალი ედებოდა ოჯახის წევრის იძულებაში (სსკ-ის მე-11[1], 150-ე მუხლი). კონკრეტულად, ბრალდებული მეუღლეს აიძულებდა, დაეტოვებინა ერთი ოთახი და გასულიყო მეორეში, ანჯღრევდა ძლიერად. პროკურორი ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას. ბრალდების მხარის განმარტებით, ბრალდებულმა ქმედება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ჩაიდინა, შესაბამისად, გამორიცხული არ იყო, მომავალში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ კვლავ ვერ გაეკონტროლებინა ქცევა და ახალი დანაშაული ჩაედინა. ბრალდების მხარე დამატებით მიუთითებდა, რომ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირი ბრალდებულის ოჯახის წევრი იყო და, სასურველი ჩვენების ფორმირების მიზნით, ბრალდებული მასზე ზეგავლენას მოახდენდა. ადვოკატი ითხოვდა გირაოს შეფარდებას მინიმალური ოდენობით. მისი განმარტებით, დაზარალებულს სასამართლოში წარმოდგენილი ჰქონდა განცხადება, რომელშიც უთითებდა, რომ ბრალდებულთან არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. ისინი 8 წლის განმავლობაში ქორწინებაში იმყოფებოდნენ და მეუღლის მიმართ არც ერთხელ არ ჩაუდენია კანონსაწინააღმდეგო ქმედება, მის მიმართ არასდროს ყოფილა გამოცემული შემაკავებელი ორდერი. მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, სად იყო დასაქმებული, რა იყო მისი ყოველთვიური შემოსავალი და ჰქონდა თუ არა საბანკო ვალდებულებები. ბრალდებულმა განმარტა, რომ პერიოდულად მუშაობდა მშენებლობაზე, ასევე, ჰქონდა საბანკო ვალდებულებებიც. მოსამართლემ მას შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მსხვერპლებს მოძალადის მხრიდან შურისძიების შიში, ასევე, სამართალდამცავი ორგანოებისადმი არასაკმარისი ნდობა აიძულებთ, იმოქმედონ მოძალადეთა სასარგებლოდ. შესაბამისად, ხშირად ისინი ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით ითხოვენ ბრალდებულთა მიმართ საშეღავათო პირობებს, იქნება ეს შედარებით მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება თუ სასჯელი. ზოგჯერ აცხადებენ, რომ არ გააჩნიათ პრეტენზია და არსებითი განხილვის სხდომებზე მათ წინააღმდეგ ჩვენებასაც არ აძლევენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) 2023 წლის 2 მარტს მიღებულ დასკვნით დაკვირვებებში უთითებს, რომ შეშფოთებულია, ვინაიდან ქალებს და გოგონებს, რომლებიც გადაურჩნენ ძალადობას, ხშირად არ სურთ ამ ძალადობის შესახებ საუბარი გაბატონებული გენდერული სტერეოტიპების, სტიგმის ან რეპრესიების შიშით, ასევე, სამართალდამცავი მექანიზმებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის სერვისების მიმართ ნაკლები ნდობის გამო.[90]

2. ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები და სასჯელები

ოჯახში ძალადობის საქმეთა 20% გამამართლებელი განაჩენით დასრულდა, ხოლო ამ ტიპის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენის დროს სასამართლო იშვიათად იყენებს ე.წ. საპატიმრო სასჯელს - ვადიან თავისუფლების აღკვეთას.

247 არსებითი განხილვის სხდომიდან 48 (19%) შეეხება ოჯახურ დანაშაულს. განაჩენი გამოვიდა სულ 30 (12%) საქმეზე, საიდანაც 15 (50%) ოჯახში ძალადობას უკავშირდებოდა. 3 (20%) შემთხვევაში ოჯახში ძალადობაში ბრალდებული პირები გამართლდნენ, ხოლო დანარჩენ 12 (80%) შემთხვევაში გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი. ამ 12 საქმიდან ყველაზე ხშირად, 6 შემთხვევაში, მოსამართლემ მსჯავრდებულ პირს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეუფარდა, 4 შემთხვევაში - პირობითი მსჯავრი, მხოლოდ 1 შემთხვევაში - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა (საპატიმრო დაწესებულებაში მოხდით). კიდევ 1 შემთხვევაში სასამართლომ პირს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც ნაწილი ჩაეთვალა პირობით, ნაწილობრივ კი, დაენიშნა ე.წ. რეალური სასჯელი.

[90] CommitteeontheEliminationofDiscriminationagainstWomen, Concludingobservationsonthesixthperiodicreportof Georgia, CEDAW/C/GEO/CO/6, 02.03.2023, para. 15 (c).

VIII. პროცესის ჩატარების ფორმა

დისტანციური სხდომები

სასამართლოები სხდომების დისტანციურად გამართვის დროებითი წესის მოქმედების პერიოდში ეფექტიანად სარგებლობდნენ ამ ფორმატით. თუმცა, კანონმდებელს არ უზრუნია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე, რათა შემდგომშიც განისაზღვროს დისტანციურად სხდომების ჩატარების შესაბამისი რეგულირება.

პანდემიის შესუსტების ფონზე შემცირდა დისტანციური სხდომების რაოდენობა. სამართალწარმოება, უმეტესად, სხდომის დარბაზში გადავიდა. თუმცა, სისხლის სამართლის სხდომები იშვიათად მაინც ტარდება ამ ფორმატით. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია დააკვირდა დისტანციურ ან ნახევრად დისტანციურ 65 სხდომას. კანონმდებლობით განსაზღვრული დროებითი წესი[91] სასამართლო სხდომების ამ ფორმატით გამართვის შესახებ 2023 წლის 1-ელ იანვარს ამოიწურა, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ დრომდე არ შესულა შესაბამისი ცვლილებები დისტანციურად სხდომების ჩატარებისთვის შესაბამისი რეგულირების შემოსაღებად.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, სასამართლოები ბოლო ეტაპამდე სარგებლობდნენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობით, პროცესის ნებისმიერი ეტაპის სხდომა დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად ჩაეტარებინათ. საანგარიშო პერიოდში ამ ფორმით ჩატარდა 15 საპროცესო, 19 არსებითი, 18 წინასასამართლო და 13 პირველი წარდგენის სხდომა. ყველაზე ხშირად დისტანციური ან/და ნახევრად დისტანციური სხდომებით ქუთაისის საქალაქო სარგებლობდა - 53 შემთხვევა (81%). სასამართლოები დისტანციურად განიხილავენ ყველა ტიპისა და კატეგორიის საქმეს, იქნებოდა ეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, ოჯახში ძალადობის, ნარკოტიკული, სატრანსპორტო თუ სხვა დანაშაულები, მათ შორის, გამოვლინდა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დისტანციურად ჩატარების შემთხვევაც.

მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით განისაზღვროს დისტანციური სხდომების ჩატარების წესები იმგვარად, რომ საჯაროობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა ელემენტები სრულყოფილად იყოს უზრუნველყოფილი.

[91] სსსკ, მუხლი 332[5].

IX. სხვა საკითხები

1. განაჩენის აღსრულების გადავადება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვის სხდომებს, რომლებმაც ნათელი გახადა ის **საკანონმდებლო პრობლემები,** რომლებიც ამ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვას სდევდა თან.

დაცვის მხარე სასჯელის გადავადებას/გათავისუფლებას ითხოვდა *მკვეთრად გაუარესებული ჯანმრთელობის და იმგვარი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საფუძვლით, რა სახის დახმარებასაც მას პენიტენციურ სამსახურში არ/ვერ უწევდნენ.*

2022 წლის 6 დეკემბერს **სახალხო დამცველის მიერ მოწვეულმა ექსპერტთა ჯგუფმა** გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა ერთ წელზე მეტი ხნის (14 თვე) განმავლობაში ეპიზოდურად მნიშვნელოვნად მძიმდებოდა, ხოლო ბოლო თვეებში მკვეთრად იყო გაუარესებული და ფასდებოდა, როგორც მძიმე. **დასკვნის თანახმად,** პაციენტის მართვა ვერ ხერხდებოდა პროაქტიულ რეჟიმში და მკურნალობის მიდგომები სხვადასხვა გართულებაზე რეაგირებით შემოიფარგლებოდა. მართალია, პაციენტს უტარდებოდა მრავალი კვლევა, თუმცა არ ჩანდა დაავადების მართვის რაიმე ლოგიკური სტრატეგია. პაციენტის ჯანმრთელობის მოსალოდნელი შეუქცევადი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საჭირო იყო დროული და ძირეული ზომების მიღება.[92]

აღსანიშნავია, რომ **სახალხო დამცველმა,** სამედიცინო კონსილიუმზე დაყრდნობით, **სასამართლო მეგობრის მოსაზრებით** მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობას განიხილავდა. სახალხო დამცველი სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნავდა, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, **სულ მცირე, აკმაყოფილებდა განაჩენის აღსრულების გადავადების სტანდარტს, რადგან იგი დაავადებული იყო მძიმე ავადმყოფობით, რაც სასჯელის მოხდას ხელს უშლიდა.**[93]

2023 წლის 6 თებერვლის განჩინებით, სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს უარი უთხრა როგორც სასჯელისგან გათავისუფლებაზე, ისევე მის გადავადებაზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ თითქმის 2 თვე[94] მოანდომა ადგილზე თათბირით მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებას. 2023 წლის 2 მარტის განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

იმის გამო, რომ სასამართლომ საიას არ მიაწოდა სასჯელის გადავადების სხდომებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე ინფორმაცია, ორგანიზაცია მოკლებულია შესაძლებლობას, ანგარიშში გამოკვეთოს ზოგადი ტენდენციები.

ამის მიუხედავად, ერთ საქმეზე დაკვირვებამაც კი გამოავლინა ქვემოთ მოცემული საყურადღებო საკითხები.

---

[92] სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 67. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/juN59 [01.10.2023].
[93] იქვე.
[94] პირველი სხდომა გაიმართა 2022 წლის 9 დეკემბერს, ხოლო შემაჯამებელი სხდომა 2023 წლის 6 თებერვალს.

1.1. განხილვის ვადები

სასამართლოში მძიმე ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის წარდგენის საფუძველია მსჯავრდებულის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. არაგონივრული ვადით სასამართლო განხილვის გაგრძელებამ, შესაძლოა, დროის და ეფექტიანი მკურნალობის მიღების გაჭიანურებით პირდაპირი გავლენა მოახდინოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობასა ან სიცოცხლისთვის მძიმე შედეგზე. **სხდომებზე დაკვირვებამ ნათლად გამოკვეთა, რომ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვის ვადები არ ექცეოდა ავადმყოფობის გამო სასჯელის გათავისუფლების ან გადავადების გონივრულ ვადებში.** მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე **პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა** სხდომის 1 თვით გადადების შუამდგომლობა დააყენა იმ საფუძვლით, რომ უნდა გასცნობოდა დიდი მოცულობის საქმის მასალებს, მაშინ, როცა პენიტენციურ სამსახურს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პროაქტიულად უნდა ჰქონოდა. ***ამგვარი დამოკიდებულება აჩენდა ვარაუდის საფუძველს, რომ პენიტენციური სამსახური ცდილობდა განხილვის გაჭიანურებას.***

ამასთანავე, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითია, ამ ტიპის საქმეები განიხილონ ჯანდაცვის თემატიკაზე სპეციალიზებულმა/გადამზადებულმა მოსამართლეებმა. მოცემულ საქმეში სასამართლო ორიენტირებული იყო ფიზიკური ჯანმრთელობის ასპექტების შეფასებაზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა იმ მენტალურ პრობლემებს, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ბრალდებულის მიერ სასჯელის მოხდის ხარისხსა და სასჯელის მიზანზე.

1.2. შუამდგომლობის განხილვის სხდომებზე მსჯავრდებულის მონაწილეობის დამაბრკოლებელი გარემოებები

მიხეილ სააკაშვილი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არც ერთხელ არ იმყოფებოდა სხდომის დარბაზში.[95] ერთ-ერთ სხდომაზე სასამართლომ გაასაჯაროვა პენიტენციური სამსახურის წერილი, რომლის მიხედვითაც, *მიხეილ სააკაშვილი ითხოვდა ტრანსპორტირებასა და პროცესზე ფიზიკურ დასწრებას. ასევე, წარმოდგენილი იყო მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულის გამო, არ მიეცა რეკომენდაცია, მისულიყო სასამართლო დარბაზში.* პროცესი მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. მისი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით უცნობი იყო. არათუ სხდომის დარბაზში არ ხდებოდა მისი ტრანსპორტირება, არამედ ერთ-ერთ სხდომაზე სააკაშვილი დისტანციურადაც კი ვერ/არ ჩართეს.

ამის თაობაზე პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, კლინიკა „ვივამედში“ არ აქვთ დისტანციური ჩართვისთვის საჭირო ტექნიკა. აღსანიშნავია, რომ კლინიკა „ვივამედი“ არის პენიტენციური სამსახურის კონტრაქტორი კლინიკა, სადაც არაერთი ბრალდებული/მსჯავრდებულია განთავსებული. Covid-19-ის პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით, ბუ-

[95] იგულისხმება განაჩენის აღსრულების გადავადების სხდომები.

ნდოვანია, ამ კლინიკაში რატომ არ არის გათვალისწინებული დისტანციური ჩართვისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები. **საია 2020 წლიდან მოუწოდებდა პენიტენციურ სამსახურს, აღჭურვილიყო დისტანციური ჩართვისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით.**[96]

1.3. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

მძიმე ავადმყოფობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისას გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ იმავე განაჩენით (განჩინებით) უნდა განსაზღვროს, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენის მიზნით, მსჯავრდებულის ხარჯით, წელიწადში სულ მცირე ერთხელ, ექსპერტიზის ჩატარებისა და მისი დასკვნის წარდგენის პერიოდულობა. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პერიოდულობით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.[97]

ამ მოწესრიგების მიხედვით, თუ მსჯავრდებული, თუნდაც მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს ექსპერტიზის ჩატარებას და დასკვნის სასამართლოში წარდგენას, ზეპირი მოსმენის და სასამართლოზე განმარტების გაკეთების უფლებითაც ვერ ისარგებლებს. შესაბამისად, შესაძლოა, ის იმავე ან უფრო მძიმე მდგომარეობით დაბრუნდეს პენიტენციურ დაწესებულებაში. ასეთი რეგულირება, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების/გადავადების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

2. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა და სხდომების საჯაროობა

კვლავ პრობლემად რჩება სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. საია, წლებია, საუბრობს, რომ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაცია არ ქვეყნდება. ამის გასამართლებლად, ხშირად, მოყვანილია არგუმენტი, რომ ამ პროცესს აფერხებს პირველი წარდგენის სხდომების დიდი რაოდენობა და ჩატარების შემჭიდროებული ვადები. თუმცა, ეს პრობლემა შეიძლება მოგვარდეს საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც, იმავდროულად, ტაბლოზე ავტომატურად ასახავდა სხდომების განრიგს. სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპის შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ არის მითითებული, სასამართლო განხილვის რა ეტაპზეა კონკრეტულ დღეს ჩანიშნული სხდომა, რაც განხილვის იმ ეტაპით დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციას რთულად ხელმისაწვდომს ხდის.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ზოგიერთ საკითხზე საზოგადოებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდების სურვილით, საიამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის განცხადებით მიემართა თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამა-

[96] „სასამართლო პანდემიის დროს“, სპეციალური ანგარიში, გვ. 26, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gpwA6 [01.10.2023].
[97] სსკ, მუხლი 283. 3.

რთლოებს.[98] ბოლო ორი სასამართლოდან ორგანიზაციას პასუხი საერთოდ არ მიუღია. თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოგზავნილი წერილის[99] თანახმად კი, ისინი საიას მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებენ. ამავე მიზნით, განცხადება[100] გაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, რომელმაც საპასუხო წერილში[101] მიუთითა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის ბმული, სადაც განთავსებულია რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პროკურატურამ საიას მიაწოდა მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი, ხოლო დანარჩენთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ამ სტატისტიკურ ინფორმაციას არ ამუშავებენ.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს სასამართლოს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მის მიმართ მოქალაქეთა ნდობაზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, საჯარო დაწესებულებები კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ანალიზისთვის თავად იყვნენ მოტივირებულნი, დაამუშაონ გარკვეული სახის სტატისტიკური მონაცემები. ის გარემოება, რომ, სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, აწარმოონ სტატისტიკა, ვერ იქნება ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის საპირწონე არგუმენტი. რაც შეეხება საქმეთა განხილვის ვადებს, სასამართლო ვალდებულია, საქმე განიხილოს 2 თვის, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე კი - მაქსიმუმ 5 თვის ვადაში. თუმცა, ეს ვადები, მეტწილად, ირღვევა. დავის გაჭიანურება, ძირითადად, მოსალოდნელია ყველა ინსტანციის სასამართლოში,[102] რაც საზოგადოებას ართმევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე დროულად ჰქონდეს მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება.

[98] თბილისის საქალაქო სასამართლოს რეგისტრაციის ნომერი - 31836, ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი განცხადების ნომერი - გ-04/133-23, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 17 აგვისტოს გაგზავნილი განცხადების ნომერი - გ-04/131-23.

[99] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 აგვისტოს N7751343 წერილი.

[100] 2023 წლის 17 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი განცხადების ნომერი - 04/136-23.

[101] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 18 აგვისტოს N MIA 9 23 02416303 პასუხი.

[102] როგორ მოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია, პრაქტიკული გზამკვლევი მედიის წარმომადგენლებისთვის. გვ. 15. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/ekqrM [01.10.2023].

3. საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპამდე არ მივიდა

დიაგრამა №21: *ქვემოთ იხილეთ ინფორმაცია დევნის არდაწყებისა და შეწყვეტის შესახებ (2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ივლისის პერიოდი).* [103]



ამავე პერიოდში[104] პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან 2084 საქმეზე 2380 სრულწლოვანი პირი განარიდა.[105] **ამ პირთა მიმართ გამოყენებულ განრიდების პირობებს რაც შეეხება,**[106] როგორც პროკურატურის წერილშია[107] აღნიშნული, განრიდების პირობების მიხედვით დათვლილი სრულწლოვანი პირების რაოდენობა ჯამში 2454-ია, რაც აღემატება მათ საერთო რაოდენობას (2380 პირი). ამის მიზეზია ის, რომ რამდენიმე შემთხვევაში ერთი პირის მიმართ ერთდროულად ორი ან მეტი პირობა იყო გამოყენებული.

უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება	7
დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა	27
ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება	527

[103] დიაგრამაზე ასახული მონაცემები შეიცავს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილით არდაწყებული ან შეწყვეტილი დევნის რაოდენობრივ მონაცემებს 2022 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით პერიოდში. საქართველოს პროკურატურის 2023 წლის 14 სექტემბრის N13/62462 წერილი.

[104] 2022 წლის 15 ნოემბრიდან 2023 წლის 15 ივლისის ჩათვლით პერიოდში.

[105] პროკურორს შეუძლია, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილ პირობათაგან ერთს ან რამდენიმეს.

[106] სსსკ, მუხლი 168[1].

[107] საქართველოს პროკურატურის 2023 წლის 14 სექტემბრის N13/62462 წერილი.

საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40-იდან 400 საათამდე	613
სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი	1280

როგორც ცხრილში ვხედავთ, განრიდების პირობად ყველაზე ხშირად სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა გამოიყენება. დანაშაულის ჩამდენისთვის, შესაძლოა, ეს მისაღები პირობაა, მაგრამ ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ჯარიმის გადახდით რამდენად მიიღწევა სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნები.

4. სსკ-ის 169-ე მუხლი - შრომის კანონმდებლობის დარღვევა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არაერთი პირის საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.[108] საია აქტიურადაა ჩართული შრომითი დავების სასამართლო წარმოებაში. ამის პარალელურად და, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მონიტორინგზე მრავალწლიანი მუშაობის პერიოდში ერთხელაც არ აღმოჩნდა ისეთი საქმე, სადაც საიას მონიტორი სსკ-ის 169-ე მუხლით ბრალდებული პირის სასამართლო პროცესს დაესწრებოდა, ინტერესის სფეროში მოექცა შრომითი კანონმდებლობის დაცვის სისხლისსამართლებრივი რეგულირება.

2013 წელს, დასაქმებულთა მეტი დაცულობის მიზნით, შრომის კანონმდებლობის დარღვევა, კონკრეტულად, „პირის იძულება, დაწეროს განცხადება საკუთარი ინიციატივით სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა“,[109] განისაზღვრა დანაშაულად, რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. თუმცა, 2013 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შესვლიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოს პროკურატურამ მხოლოდ 2 საქმეზე 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.[110]

საზოგადოებაში არაერთხელ გავრცელებულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლიტიკური შეხედულების თუ სხვა მიზეზის გამო, ადამიანებს სამსახურის დატოვებას აიძულებენ,[111] მაგრამ ამაზე საგამოძიებო უწყებების რეაგირება თით-

[108] იხ. საიას კვლევა კულტურის სამინისტროს ახალი საკადრო პოლიტიკა, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/hSZ27 [01.10.2023].

[109] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 169.

[110] საქართველოს პროკურატურის 2023 წლის 14 სექტემბრის N13/62462 წერილი.

[111] „სამართლიანი არჩევნების“ იურისტებმა აწარმოვეს მოქალაქის საქმე, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, იყო საჯარო მოხელე და, საერთო ჯამში, ჰქონდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტრუქტურაში მუშაობის 20-წლიანი წარმატებული გამოცდილება. მთელი ამ დროის განმავლობაში მის მიმართ არასდროს ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა. „საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის შესაბამისად, ის ფასდებოდა წელიწადში ორჯერ და ეს შეფასებები ყოველთვის იყო მაღალი როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის, ისე დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის მხრივ. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ, ახლობლის ოპოზიციურ პარტიასთან კავშირის გამო, მას მოსთხოვეს სამსახურიდან წასვლა. ამგვარ უკანონო მოთხოვნაზე უარის

ქმის არ გვსმენია, რაზეც ზემოთ ხსენებული სტატისტიკური მონაცემიც მეტყველებს. ამ კუთხით საგამოძიებო ორგანოების პასიურობა ახალისებს დანაშაულს და ადამიანებს დაუცველს, გაჭიანურებული სამოქალაქო დავებისა და აღუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებების პირისპირ ტოვებს.

5. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

რამდენიმე გახმაურებულ საქმეში გამოიკვეთა მოსამართლის მხრიდან შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დარღვევა - მოსამართლე მოწმეს ბრალდების მხარის სასარგებლო კითხვებს უსვამდა.

ორ გახმაურებულ საქმეში, რომლებსაც საიას მონიტორი აკვირდებოდა,[112] მოსამართლე, თავისი აქტიური მონაწილეობით, აშკარად არღვევდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოწმეების დაკითხვის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ის აწარმოებდა მოწმეთა ჯვარედინ დაკითხვას[113] და მიმანიშნებელი კითხვებით ცდილობდა მათგან ინფორმაციის მიღებას. საყურადღებოა ისიც, რომ მოსამართლე მოწმეებთან მიმართებით ავლენდა წინასწარგანწყობებს, მაგალითად, სანამ მოწმე, კონკრეტულად, ექსპერტი ისაუბრებდა თავის კვალიფიკაციაზე, მოსამართლე დადებითად აფასებდა მის კვალიფიკაციას. საიას აზრით, სასამართლო მოტივირებული უნდა იყოს, სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტება დაადგინოს ისე, რომ არ გასცდეს სისხლის სამართლის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორებიცაა მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. მოსამართლის მხრიდან მოწმეთა დაკითხვის პროცესში დაცვის მხარის დამაზიანებელი აქტიურობა ორ სხვა გახმაურებულ საქმეშიც გამოვლინდა.[114]

6. უდანაშაულობის პრეზუმფცია

საიას დაკვირვების არეალში მოექცა 7-8 მარტის მოვლენებთან დაკავშირებული ლაზარე **გრიგორიადისის საქმე. გრიგორიადისის დაკავებისთანავე მის მიმართ მაღალი რანგის საჯარო თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთებული განცხადებები მიმართული იყო** საზოგადოებაში მისი პიროვნების დისკრედიტაციისკენ.[115] ამასთანავე, სხვა მიმდინარე საქმიდან გამომდინარე, ლაზარე გრიგორიადისი მოიხსენიებოდა ნასამართლევ პირად, მაშინ, როცა მის მიმართ ჯერ არ იყო გამოტანილი სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვის პროცესში მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან

თქმის შემდეგ ის ოფიციალურად გაათავისუფლეს. „შრომით დავებზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება“, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/clOQ9 [02.10.2023].

[112] ე.წ. ვაკის პარკის საქმე; ე.წ. რესპუბლიკურის საქმე.

[113] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 245.

[114] სასამართლოს მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, მხარეებთან შეთანხმების გარეშე კითხვების დასმა არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ ხსენებული სამი საქმით. მსგავსი დამოკიდებულებები სხვა სხდომებზეც გამოიკვეთა, თუმცა საია აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმ სხდომებზე, რომლებსაც სისტემატურად აკვირდებოდა და სადაც მუდმივად ირღვეოდა ეს პრინციპები.

[115] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება ლაზარე გრიგორიადისის საქმეს, 04.04.23, ხელმისაწვდომია:
https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-ekhmianeba-lazare-grigoriadisis-saqmes.

გაკეთებულმა მსგავსი შინაარსის განცხადებებმა, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს სასამართლოს საქმიანობასა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სანდოობაზე.

7. ბრალდებულისთვის ზარის განხორციელების უფლების შეზღუდვა

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, პროკურორის დადგენილებით, 403 ბრალდებულს შეეზღუდა გარე სამყაროსთან კონტაქტი, მათ შორის, 3 არასრულწლოვანს. საგულისხმოა, რომ ბრალდებულებს სატელეფონო საუბარი და ხანმოკლე პაემანი ერთდროულად ეზღუდებათ.[116] სატელეფონო საუბრის შეზღუდვისას პროკურატურა იყენებს შაბლონურ დასაბუთებას, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამომძიებელს ან პროკურორს მოტივირებული გადაწყვეტილების მიღება მოეთხოვება. ხოლო, ხანმოკლე პაემნის შეზღუდვისას, პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლი დადგენილების დასაბუთების ვალდებულებას საერთოდ არ ითვალისწინებს.

წინა საანგარიშო პერიოდში[117] საია საქართველოს პარლამენტს მოუწოდებდა, ზემოთ ხსენებულ მუხლებში განეხორციელებინა ცვლილება და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა შესაძლებელი ყოფილიყო მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. ამავე საკითხზე პარლამენტმა არც სახალხო დამცველის წინადადება გაითვალისწინა და, სამწუხაროდ, ეს საკანონმდებლო ცვლილება არ განხორციელებულა.[118] ***განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ბრალდებულებს პროკურორის დადგენილებით ეზღუდებათ ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის უფლებაც.***

მიგვაჩნია, რომ ბრალდებულებისთვის ადვოკატებთან სატელეფონო საუბრის შეზღუდვა არღვევს მათი დაცვის უფლებას.

[116] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 102. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gjxy4 [01.10.2023].

[117] სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N16 ანგარიში. გვ. 69. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kKLRY [01.10.2023].

[118] პრევენციის მექანიზმის 2023 წლის ანგარიში. გვ. 102. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gjxy4 [01.10.2023].

X. რეკომენდაციები

საერთო სასამართლოებს / მოსამართლეებს:

1) მეტი ყურადღება დაუთმონ საჯარო სხდომაზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის, გირაოს გამოყენების ნაწილში თანხის ოდენობის დასაბუთებას.

2) საჯარო სხდომაზე დაცვის მხარის ინიციატივის გარეშე განიხილონ დაკავების კანონიერების საკითხი და შეეცადნენ, ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის პრევენციის კუთხით დაამკვიდრონ მაღალი სტანდარტი.

3) მეტი ყურადღება დაუთმონ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების უცვლელად დატოვების მიზანშეწონილობის საკითხს.

4) განხორციელდეს სათანადო სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. მოსამართლეები მეტი ყურადღებით მოეკიდნენ საქმის საჯაროდ და სრულყოფილი პროცედურული წესებით განხილვას, რათა საპროცესო შეთანხმების სხდომამ არ მიიღოს ფორმალური ხასიათი.

5) სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს ადვოკატი არ ჰყავს.

6) პროცესის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, სხდომაზე მხარეთა დაგვიანებისა თუ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოახდინონ რეაგირება და, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევენ, გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული სანქცია.

7) ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე, იხელმძღვანელონ მსხვერპლთა უსაფრთხოების პრინციპით და ამგვარად მიიღონ გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიებისა თუ სასჯელის გამოყენების შესახებ.

8) უზრუნველყონ სხდომების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ასევე, დაამუშაონ და გასცენ საჯარო ინფორმაციის კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემები.

საქართველოს პარლამენტს:

1) განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით და გაიზარდოს აღკვეთის ღონისძიების ძირითადი სახეები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და აღკვეთის ღონისძიების სახეს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - მოეხსნას სასჯელსა თუ დანაშაულის კატეგორიაზე დამოკიდებულება.

2) კანონმდებლობით აღარ იყოს განსაზღვრული გირაოს მინიმალური ოდენობა და მისი განსაზღვრა სრულად სასამართლოს დისკრეციაში მოექცეს.

3) კანონმდებლობით მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირვე-

ლი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს.

4) კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება ოჯახში დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. სასჯელთან ერთად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დაკისრება აღარ იყოს დაკავშირებული მხოლოდ პირობით მსჯავრთან, არამედ ნებისმიერ სასჯელთან ერთად შეეძლოს სასამართლოს მისი გამოყენება.

5) კანონმდებლობით განისაზღვროს დისტანციური სხდომების ჩატარების წესები იმგვარად, რომ საჯაროობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა ელემენტები იყოს უზრუნველყოფილი.

6) შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლებში და, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდოს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით. კანონით განისაზღვროს, რომ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება მის მიერ ადვოკატთან დასაკავშირებელ ნომერზე.

საქართველოს პროკურატურას:

1) ბრალდების მხარემ მეტი ყურადღება დაუთმოს სასამართლოში წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობის დასაბუთებას.

2) აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლოში წარადგინონ და საჯარო სხდომაზე გაახმოვანონ ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

3) ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეების უკეთ განსასაზღვრად შეისწავლონ მისი პიროვნული მახასიათებლები.

4) პირველი წარდგენის სხდომაზე შეფარდებული პატიმრობის საფუძვლების განეიტრალების შემთხვევაში, იშუამდგომლონ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლა.

5) გადახდისუუნარო ბრალდებულთა შემთხვევაში, სათანადო საფუძვლების არსებობისას, მიმართონ სასამართლოს გირაოს თანხის ოდენობის შემცირების შუამდგომლობით.

6) გამოკვეთონ შრომის კანონმდებლობის დარღვევის კუთხით არსებული სტრატეგია და გაატარონ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას

1) გაგრძელდეს ადვოკატთა კორპუსის პროფესიული გადამზადება, მათ შორის, პროფესიული ეთიკის კუთხით.